# სახალხო გაზეთი

№ 842 კვირა, 10 მარტი 1913 წ. № 842

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა“-ში, მუშტაიდის ქუჩა, და ღირს 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში — მორსკაია 11, ვარშავაში — მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში — ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი“-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი“ 190.

ტელეფონი № 12-29

გაზეთის ფასი წელიწ. 8 მ. 50 კ. ცალკე № ყველგან 5 კ.
„ „ თვეში — 75 კაპ. დამატებიანი 7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა



ტფილისი საჯარო ბიბლიოთეკა


## სახალხო გაზეთი
### ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო

მიიღება ხელის მოწერა 1913 წლისათვის.

ყოველ-დღიურ გამოცემის გარდა 1913 წელსაც გაზეთს ექნება

### სურათებიანი დამატება
(კვირაობით)

**პრემიად** 1913 წლის ხელის მომწერთ მიეცემათ **ორი წიგნი**

1) **უცხოეთის მწერლები** (400 გვ.) ამ კრებულში მოთავსებული იქნება თხზულებები შემდეგ გამოჩენილ მწერლებისა — **კნუტ ჰამსუნისა, არტურ შნიცლერისა, ჰენრიკ სენკევიჩისა და სხვათა.**
2) **ქართველი ერის ისტორია**, პროფ. ივ. ალ. ჯავახიშვილისა. პირველი და მეორე ტომი ერთს წიგნად, სურათებითა და ძველი საქართველოს რუკით.

გაზეთის ფასი წელიწადში **8 მ. და 50 კ.** ცალკე № შაურად. დამატებიანი 7 კაპ.

| 12 თ. | 11 თ. | 10 თ. | 9 თ. | 8 თ. | 7 თ. | 6 თ. | 5 თ. | 4 თ. | 3 თ. | 2 თ. | 1 თ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8.50 | 8. | 7.50 | 6.75 | 6. | 5.25 | 4.50 | 3.75 | 3. | 2.25 | 1.50 | .75 |

საზღვარ-გარედ თვეში ზედ-მეტი 50 კაპ.

ადრესის გამოსაცვლელი ფასი — ტფილისისა ტფილისს გარედ, ან ტფილისის გარეთისა ისევ ტფილისის გარეთისაზე. **40 კაპ.**

დანარჩენ შემთხვევებში უფასოდ.

**ათი შაური** უნდა გადიხადოს კიდევ იმ ხელის მომწერმა, რომელსაც სურს მიიღოს ფოსტით ორი საპრემიო წიგნი. ვინც რედაქციის კანტორაში მიიღებს პრემიას, იმას ეს ფული არ გადახდება.

**წლიურ ხელის მომწერთ გაზეთის ფასი 8 მან. 50 კაპ. შეუძლიანთ გადაიხადონ. ნაწილობით**

**მხოლოდ** შემდეგ ვადებზე უნდა იყოს გადახდილი: ხელის-მოწერისათანავე 3 მ.; 1 აპრილამდე 2 მ.; 1 თიბათვემდე 2 მ. და დანარჩენი 1 მ. 50 კ. 1 ენკენისთვემდე.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის 1 რიცხვიდან, მხოლოდ სრული თვეებით და არა უმეტეს 1913 წლის გასულისა.

**ხელის მოწერა მიიღება:**
1) „სახალხო გაზეთი“-ს კანტორაში, (სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახლი, შესავალი ეზოდან).
2 ქ. შ. წ.-კ. ს. მთავარ გამგეობის წიგნის მაღაზიაში,
3 ფოსტით: Тифлисъ, газ. „Сахалхо Газети“. П. Ящ. 190.

---

ქ. ქუთაისს, კვირას, 10 მარტს, საფიჩხიის სას-ფლაოს ეკლესიაში გადახდილ იქნება წლის წირვა და პანაშვიდი განსვენებულის

**თ-დ ჯამბაკურ დავითის ძის გურიელის**

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ მისი ჭირისუფლები. 147

---

## ქართული თეატრი
ტელეფ. № 795.

**ქართველ მსახიობთა ამხანაგობა**

**კვირას, 10 მარტს, ყველასათვის ხელმისაწვდენ ფასებში,**

წარმოდგ. იქნება შექსპირის ცნობილი პიესა **ოტელო** — **ვენეციელი მავრი** — ტრაგ. 5 მოქ. ივ. მაჩაბლის თარგ.

**განახლებული დეკორაციები და ტანსაცმელები**

მონაწილეობას იღებენ ყველა ამხანაგები. დასაწყისი საღამო 8 ს.

რეჟისორი **ვალ. გუნია.** მორიგი ამხანაგი ვ. აბაშიძე.

ამხანაგობა დაბეჯითებით სთხოვს წარმოდგენის დამსწრეთ, წეს-რიგი დაიცვან და უსათუოდ ბილეთებზე აღნიშნულ ადგილზე დასხდნენ ხოლმე. 1094

---

№ 25. **ტფილისის სახაზინო თეატრი** № 25.

ხუთშაბათს, 14 მარტს,

**ზუბალაშვილების სახ. სახ. სახლთან არსებ. ქართ. სახ. წარ. მმართ. წრის მიერ**

**თავის საშუალებათა გასაძლიერებლად**

დამსახურ. მსახიობ. **ქ-ნ ეფ. მესხისა, ბ. კ. ყიფიანისა და ალ. იმედაშვილის** მონაწილეობით წარ. იქნება ისტორ. დრამა ლეგენდა **ლალატი** 5 მოქ. თავ. სუმბათაშვილისა. თარგმ. გრ. ყიფშიძესი.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი ანკარა, ნ. ბადრიძე, **ნ. გამრეკელი-ტორელი**, მარგ. გოდოლაშვილი, გოდერძი, ბ. კორინთელი ა. კახელი, **ეფ. მესხი, პიერეტა**, ტანელი, ყანჩაველი, ყოჩიშვილი, ო. ყიფშიძე, ელ. ციმაკურიძე. ბ-ნნი: გ. ანაშვილი, არშაკუნი, ნ. გოცირიძე, გელიკურაშვილი, ალ. იმედაშვილი, ილ. ზურაბიშვილი, ს. თავდიშვილი, ამბ. იმერელი, ა. კავსაძე, კავაძე, ალ. მეტრეველი, ვ. პინდიაშვილი, ვ. ნინიძე, ს. რომანიშვილი, სტურუა, რ. სალაყაია, ლ. სამაკაშვილი, ყარსიმაშვილი, გ. ფრონისპირელი, **კ. ყიფიანი**, ალ. შანშიევი, მ. ჭიაურელი, ჭუმბურელი, ნ. ჭანკვეტაძე, კ. ხახანაშვილი, გ. ჯაბაური და **აგრეთვე თანამშრომელთა გაძლიერებული ჯგუფი.**

ადგილების ფასი 20 კ. 3 მანეთამდე. **დასაწყ. საღ. 8 ს.**

1034 რეჟისორი **ალ. წუწუნავა.** თანაშემწე **ნ. ჭანკვეტაძე.** „წრის“ ადმინ.

---

## ახალი კლუბი

**სამშაბათს, 12 მარტს,**

### საოჯახო საღამო

საოპერეტო არტისტების მიერ დადგმულ იქნება

**„მწვანე კუნძული“**

3 მოქმ. ოპერეტა მუსიკა ლეკოვისა.

მონაწილეობენ: ქ-ნნი კოლაროვისა, ფონ-შლმანი, ერნი; ბ-ნნი ვალერიანოვი, ევგენიევი, მამინი, ლვოვი, საბინი, ტორსკი.

რეჟისორი **ვ. გ. ვალერიანოვი.** დირიჟორი **ს. ი. პრესმანი.**

კლუბში შესასვლელად კაცები იხდიან 1 მან. ქალები—50 კაპ. სტუდენტები 25 კაპ. თეატრში ადგილების ფასი 1—2 მანეთამდე. ქანდარაზე—30—10 კაპეიკამდე. ქანდარაზე შესვლა ყველას შეუძლიან. **დასაწყისი საღამოს 8½ საათზე.** 1092.

---

დილის 9—10 ს. ღარიბების მიღება უფასოდ.

**დოქტორი მედიცინისა** ბერლინის უნივერს. **გ. გ. მეგრაბიანცი**

**წამლობა ჭლექისა,** იღებს შინაგან სნე. ჭლექთა და გულით ავადმყ. წამლობა **ტუბერკულინითა, რენტგ. სხივ. და პნევმოტორაქსით.** იღებს ყოვ.-დღ. **ახალ ბინაზე** დილ. 9—1 ს. და საღ. 5—8 საათ. ადრესი: **ხოლოდილნაია**, გეგუთოვის ქ., № 23 (განოვის ქ. ტელეფ. კუთხე). 97

---

— **ავლაბრის თეატრი მეზუროვისა** —
(ყოფილი არაქსიანისა).

**კვირას, 10 მარტს,** ხარფუხ. ქართ. სახ. წარმოდგ. მმართ. წრის მიერ ქ-ნ **ნ. დავითაშვილისა და ვასო აბაშიძის** მონაწილეობით

**= რეჟისორის ს. პეპანოვის საბენეფისოდ =**

წარმოდგ. იქნება **უდანაშაულოდ დასჯილნი**

კომედ. 4 მოქ. ოსტროვსკისა, თარგ. მაჭავარიანისა.

მონაწ. მიიღებენ: ქ-ნნი **დავითაშვილისა**, მეხუზლასი, ხარდალიშვილისა, კავთელი, ძუძა; ბ-ნნი ვ. აბაშიძე, გორდაძე, მეხუზლა, მაისურაძე, ფირუმიანი, პეპანოვი, შათირიშვილი და სხვა. ✦ **დასაწყ. საღ. 8 ს.** ბილეთ. იყიდება თეატრის კასაში საღ. 5—7 ს.

მორიგი გამგ. წევრი **ა. შათირიშვილი.** ადმინ წრისა. რეჟის. **ს. პეპანოვი.** 114

---

**ძმ. ზუბალაშვილების სახალხო სახლი**

**კვირას, 10 მარტს,** სახ. სახ. არსებულ ქართ. სახ. წარმ. მმართ. წრის მიერ დამსახ. მსახიობ ქ-ნ **ელ. ჩერქეზიშვილის** მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება

**ხანუმა** ვოდ. 4 მ. ა. ცაგარლისა.

მონაწილეობენ: ქ-ნნი აფხაზიშვილი, ა. კორინთელი, პიერეტა, ელ. ჩერქეზიშვილი, ელ. ციმაკურიძე; ბ-ნნი გ. ანაშკილი, ნ. გოცირიძე, ილ. ზურაბიშვილი, ალ. მეტრეველი, ვ. ნინიძე, გ. ფრონისპირელი, დ. ჩიქოვანი. ✦ ბილეთების კასა ღია ყოველ დღე დილის 12—2 ს. და საღ. 6—8 ს. ადგ. ფასი 5—50 კ. **დასაწყ. საღ. 8 ს.**

რეჟისორი **ალ. წუწუნავა.** თანაშემწე **ნ. ჭანკვეტაძე** ქართ. სახ. წარ. მმართ. წრის ადმ.

**ა-ო-ს-ი:** შემდეგი წარ. 14 მარტს სახაზინო თეატრში „ლალატი“.

26 მარტს, **გ. ჯაბაურის** 20 წ. სახ. სცენაზე მოღვაწეობის ადნანიშ. გაიმართ. წარმ. 1034

---

ამით საყოველთაოდ ვაცხადებ, რომ **ცნობილი**

## პასხალიდის აბრეშუმის თესლი

ჩვეულებისამებრ **იყიდება მ. გ. რუსიძის კანტორაში**

**ბათუმში,** მარინსკი პროსპექტზე, საკუთარ სახლში № 10.

**სამუდამო და შეურყეველი გადაწყვეტილებაა:** თესლს რაც უფრო ადრე დაიბარებენ მყიდველები, იმდენ და უფრო იაფად შეიძენენ, რაც გვიან, იმდენად ფასი მატულობს. **პასხალიდის თესლის მუდმივ მყიდველებს კანტორა** ამით მოაგონებს, რომ თესლი დროზე დაიკვეთონ, ვინაიდან, როგორც გაზეთებშიაც იყო აღნიშნული, ბალკანეთის ომის გამო, წელს თესლების გამოსატარებელი გზა დაკეტილია (მხოლოდ მცირედენმა გამოასწრო გზის დაკეტვას), რის გამოც მოსალოდნელია, ბევრი მეაბრეშუმე დარჩეს უთესლოთ.

ტფილისისა, ქუთაისისა და ბათუმის გუბერნიების ერთად-ერთი წარმომადგენელი პასხალიდის აბრეშუმის თესლისა **მ. გ. რუსიძე.** 1079

---

**ავლაბრის ქართულ სახალხო წარმოდგენების მმართველი წრის**

## გამგეობა

აუწყებს წევრებს, რომ ხუთშაბათს 14 მარტს 1913 წ., საღამოს 7 საათზე ავლაბრის სახალხო თეატრის დარბაზში დანიშნულია

### საგანგებო კრება

გადასაწყვეტად შემდეგ განსახილველ საგნებისა:
1. საზაფხულო სეზონისათვის დასის მოწყობა.
2. თეატრის შეკეთება და გალამაზება.
3. საზაფხულო ბაღის გაშენება.

კრებაზე დასწრება შეუძლიან მხოლოდ წრის სრულ-უფლებიან წევრებს. 1029.

---

**ქარხნის მარკა**

### კონიაკი და ლიკორი
### ს. ს. შამრიარსკისა

ტფილისი ელისაბედის ქუჩა № 166. 1570

---

## ტფილისის კერძო სამკურნალო

**ახლად გადაკეთების შემდეგ, ავადმყოფები მიიღებიან**

**ძალენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და ვეტცელის სასტუმროს ახლო.**

**ტელეფონი № 590.**

**სტაციონარული განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.**

მკურნალობა ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმები-სპეციალისტები:

| | |
|---|---|
| შინაგანი სნეულებანი. | **მანსვეტაშვილი გ. მ.** (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3. |
| | **მაღალაშვილი გ. გ.** (სამშაბ. და შაბათობით) 10—12. |
| | **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1. |
| | **ფედოროვი ე. გ.** (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1. |
| | **ექ. ქალი ენგელ-მელიქ-შახნაზაროვისა ე. ა.** (სამშ. ხუთ. შაბ.) 11—12 ს. |
| ქირურგიული სნეულებანი. | **მარკევიჩი გ. ლ.** კონსულტანტი (ყოველ-დღე 11½—12½.) |
| | **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. |
| | **ფირალოვი რ. ბ.** (ყოველ დღე) 12—1. |
| ქალთა და ბავშვთა სნეულებანი. | ექიმი-ქალი **ვერბიცკა-ფირალოვისა ლ.** (ყოველ დღე) 11—12 |
| | **თაკანაძე ა. ე.** (ყოველ დღე) 1—2. |
| | **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. |
| | **ხოლმსკი ა. ა.** (ყოველ დღე) 12—1. |
| ბავშვთა სნეულებ. | **ექ. ქალი ბაქრაძე-დედაბრიშვილისა** (ყოვ. დღე, გარდა ოთხ.) 1—1½ ს. |
| | **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1. |
| | **ფედოროვი ე. გ.** (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1. |
| ნერვ. სნეულ. და ელექტ. | **გედევანიშვილი მ. ა.** (შაბათობით) 10½—11. |
| | **ჯავახიშვილი ნ. ნ.** (ოთხშაბ., პარასკ. და კვირას) 11—12 ს. |
| | **ფონდოევი, გ. ს.** (ყოველ-დღე) 1—2 ს. |
| ყურ. ყელ. და ცხვ. | **ათენიანცი ნ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1½ |
| | **თრემბოვსკი ნ. ს.** (ყოველ დღე) 1½—2. |
| თვალის სნეულ. | **მუსხელიშვილი გ. ს.** (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ. 2—2½. |
| კან. და ვენ. | **დიასამიძე ა. ნ.** (ყოველ დღე) 11½—12½. |

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. **Wassermann.** რეაქციისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. ოპერაციები, კონსილიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია; „606“ „914“ და **წამლის შეშხაპუნება,** ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შელავათიანი საფასურით. 1035

---

### ჭიათურის საურთიერთო ნდობის
## საზოგადოების საბჭო
იწვევს ჩვეულებრივ **საზოგადო კრებას**

**შაბათს, 30 მარტს,** შუადღის 12 ს., ადგილობრივ **თეატრის დარბაზში.**

**განსახილველი საგნები:**

ა) მოხსენება საბჭოსი, ბ) მოხსენება სარევიზიო კომისიისა, გ) 1912 წ. ანგარიშის განხილვა და დამტკიცება, დ) 1913 წლის ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა და დამტკიცება, ე) არჩევა გამგეობის ერთი წევრისა, საბჭოს ორი წევრისა და სარევიზიო კომისიისა. 1099

---

Общество Кахетинскихъ садовладѣльцевъ „Кахетія“ въ Тифлисѣ

Заявленъ М-ву Торг. и Пром.

Уставъ общества утвержденъ 1895 г.

№

**რადგანაც ამ უკანასკნელ დროს**

**მეტად გახშირდა ჩვენი ფირმის ეტიკეტის ყალბი მიბაძულებანი,**

**„კახეთი“-ს საზოგადოება**

**საყოველთაოდ აცხადებს, რომ ასეთ საქმის ჩამდენთ სასტიკად გამოვეკიდებით სასამართლოს წესით.** 1054

---

## მიიღება ხელის მოწერა 1913 წ.
ნახატებიან საყმაწვილო ჟურნალ

## „ნაკადული“-ზე.

**წელიწადი მეცხრე.**

გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით, საგანგებოდ არჩეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით.

**ოცდათორმეტი გამოცემა:**

მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი
მოზრდილთათვის . . 12 წიგნი

ღირება წლიურად 5 მან., ნახევარი წლით 3 მან., ცალკ-ცალკე თვითო გამოცემა 3 მ., საზღვარ-გარედ 7 მ.

წლიური ხელის მომწერნი მიიღებენ **საჩუქრად ამერიკელ მწერალ ქალის პარიეტ ბიჩარ სტოუს რომანს ზანგთა განთავისუფლების დროიდან ✦ „ბიძია თომას ქოხი“, ✦** სრულ თარგმანს. წიგნში იქნება 40-ზე მეტი სურათი და ჩართული ექნება ავტორის სურათი და ბიოგრაფია. თარგმანის რედაქცია და ინგლისურ დედანთან შედარება იკისრა **ილია ნაკაშიძემ.** ჟურნალი „ნაკადული“ მცირე წლოვან და მოზრდილ. 1910 წ. ნება დართულია კავკასიის ოლქის სამოსწავლო მზრუნველისაგან ქართულ სკოლებში სახმარებლად. **ხელის მოწერა** შეიძლება **ტფილისში** — „ნაკადულის“ რედაქციაში, ზუბალაშვილის სახ., გოლოვინის პრ. 8, და წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში, სასახლის ქუჩა.

რედაქტორი **ნინო ნაკაშიძე.** გამომცემელი **თ-დ პავლე თუმანიშვილი**

---

### საგურთალოზე

**მშვენიერ ალაგას,**

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდების მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და **იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდენელ ფასებში.**

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. წ. 1020.

---

**იყიდება სახლი** ხელმისაწვდომი პირობით, ჩერქეზოვის ქუჩა (ავჭალისა), № 133. ორ სართულიანი, 36 ბინით (40 ოთახი), ეზოთი, სამზარეულოებით, სამრეცხაოთი, წყალით, პურის საცხობით. ეზო შენობებით შეიცავს 160 ოთხკ. საჟენს და უკან. პარკოვის ქუჩის პირად, აქვს მაღლობზე 140 კვ. ოთხკ. თავისუფალი მიწა. გადასახედი მხატვრული და ჰაერი სალი.

**მოლაპარაკება შეიძლება** იქავე სახლის პატრონთან კნ. თაქთაქიშვილთან. 129.

---

**ექიმი ი. ი. ბერიშვილი** სწამლობს **საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა და კანის ავადმყ.; ვასსერმანის** რეაქციით იკვლ. ათაშანგ. შოწამლ. სისხლს. მიიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. **ელისაბედ. ქ., № 94,** კიროჩნი ქუჩის ახლოს, საფუძვლით განყოფ. პირდაპირ. 102

---

## ვასწავლი
**ქართულ**
## სიმღერა - გალობას

და ვადგენ **100 კაცისაგან** შემდგარ გუნდს. **თამარ მეფის 700 წ. სადღესასწაულოდ.** გუნდის შესახებ მოლაპარაკება, მიღება და ჩაწერა **მიხეილ კავსაძესთან,** ოთხშაბ., შაბ. და კვირაობით 5—7 საათამდე: ჩერქეზიშვილის ქუჩა № 27. 125

---

## ვაგზლის კერძო სამკურნალო

**გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.**

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

**ე. ს. გაშაკიძე.** ყოველ დღე, შინაგან. ავადმყ. 9½ ს. 10 ს.

**ა. ნ. დიასამიძე.** ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ. კანისა და ვენერ. 11—11½ ს.

**ბ. ა. პოპოვი.** ყოვ. დღე, კვირ. გარდა ქალ. ყურ. და ცხვ. სნეულ. 11—11½.

**ექ. ქალი ოსელიანისა**—იღებს ქალთა ავადმყოფებს. სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით 11—11½ საათ.

**ვორობიევი.** შინაგ. ბავშვ. სნეულ. სამშ. ოთხშ. შაბ. და კვირ. 2—3 საათამდე.

**ნ. მ. მელიქიშვილი.** ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

**ივ. გომართელი.**—ყ.-დღ. შინაგ. 2—3 ს. მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური, ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით.

**წამლობა „606“-ით.** 1053

---

**ექიმი ალ. სოლოლაშვილი** იღებს ავადმყოფებს 9—2 საათ. და 5—6 საათ. გოლოვინის პრ. № 12. 1334

---

**ექიმი** კბილისა **ნინო რცხილაძე** იღებს დილით 9—2 ს. საღ. 5—7 ს. ოლღას ქუჩის შესახვევი № 5, სახლი მაქარაშვილისა

# სამკურნალო
## სპეციალისტ-სამხედრო ექიმებისა

გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის. ვანქ. დიდ ქ.-ზე, № 3, ალექსანდ. ბაღ. მახლობლად, ტელეფონი № 483.

**ფასი რჩევისათვის 50 კაპ.**

ავადმყოფთა მიღება 9½-დან 5 ს.-დე.

**ასპიხოვი.** ცხვირ., ყელ. და ყურისა. ყოველ-დღე. 1—2 საათამდე.

**არგუთინსკი,** შინაგ., ბავშვ. ყ.-დღ. 10½ ს.

**ახვლედიანი** შინაგან სნეულ. საბავშ. ყოველ დღე საღამოს 3—4 ს.

**ბოეთვსკი.** შინაგ. საბავშ. ორშაბ. ოთხშაბ. პარასკევ. საღამ. 4—5 ს.

**ნოვიცკი.** ქალთა ავად., ყ.-დ. 1—2 ს,

**კალამკაროვი.** ქალ. ავად. ყ.-დღ. 12—1 სათ.

**თეთრაძე.** სიფ., ვენერ., კან. ყ.-დ.—3 ს.

**ჩუდნოვსკი ი.** ნერვ., სულ., ელექტრო-ტერაპია, ყ.-დღე გარდა კ.-უქმისა 1½—12½.

**რუდენკო.** შინაგ. ავად. კონსულტანტი ხუთშ., კვ. 3—4 ს.

**ვებელ-ვზოროვი** ქირურგ. ავად. ყოველ დღე, გარდა კვირ. დღ., 3—4 საათ.

**ერმოლაევი**—ბავშვ., შინაგან. ყ.-დღ. 1-2 ს.

**იოსელიანისა** ქალ. ავად., ორშ. ოთხშ., პარასკ., კვირ. 11—12 საათ.

**ბაგდოევისა,** კბილ. ყ.-დღე 3—5 ს.

**ლიმონი.** კბილ. ყ.-დღ. 11—12 ს.

**შამაში,** ქირურგ. ავადმყ. ყ.-დღ., კვ. გარდა 1½ 2½ ს.

**გ. ნ. გეინაცი**—თვალის ავადმყ. ორშაბ., ოთხშ., პარასკ. საღ. 4—5 ს.

**ა. ა ხოდნევი**—თვალ. ავად. სამშ, ხუთშ., შაბ., კვ., საღ. 4—5 ს.

**კუნთებში შეუშხაპუნებენ და ძარღვებში შეუშვებენ „606“-ს საღამოს, 5—7 საათამდე.**

კონსულტანტი ხირურგ. ავადმყ. დამსახურ. პროფეს. საიმპერ. სამხ. მედიკ. ავად პროფ. მ. ს. სუბოტინი ორშ., ხუთშ. 3—4 საათ. წინდაწინვე ჩაწერით. 366.

**ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო მიხ. გედევანიშვილისა**

ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ. № 20. წ. 1022

**ექიმი ე. ი. მინასიანცი** შინაგან, ბავშვთა, სპეც. კუჭისა და ნაწლევთა ავადმყ. და საზრდოებ. (სისხლ ნაკლ. ულ. შაქრის ავადმყ. სიმსუქნე, ლოთობა, ქარები) ელექ. და დამპალი ციებ. პარიზულ კლინიკ. პროფ. Mathieu. იღებს დილ. 9—11 ს., საღ. 5—7 ს. ტფილისი, მიხეილ. ქ. № 86, ტელ. № 576. 1071

**ექიმი შ. ა. მიქელაძე** იღებს **შინაგან და ბავშვთა სნეულებათ** ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ბან.—6½ საათ. ქარითის ქ., № 6.


# სახელმწიფო სათათბირო
(დეპეშათა პეტერბურგის სააგენტო)

## 8 მარტის სხდომა.

**როძიანკო** თავმჯდომარეობს.

სათათბირომ ფეხზე ადგომით მოისმინა ხელმწიფე იმპერატორის და დედოფლის სამადლობელი დეპეშა საბერძნეთის მეფის მოკვლის გამო სამძიმრის გამოთქმის თაობაზე.

სათათბირომ უკამათოდ მიიღო 12 კანონ-პროექტი.

სათათბირო განაგრძობს მსჯელობას კადეტების მიერ შეტანილ საკითხის გამო სათათბიროს არჩევნების დებულებათა შეცვლის თაობაზე.

**იაგოდინსკი.** არ შეიძლება სხვადასხვა საარჩევნო უფლებანი მიეცეს უკულტურო ელემენტებს, რა წოდებასაც არ უნდა ეკუთვნოდნენ ისინი. კანონ-პროექტის ავტორები არ იცნობენ სოფლის ცხოვრებას. სათათბირომ მოსაზრება უნდა უარჰყოს.

ხმის უმრავლესობით უარჰყვეს მოსაზრების კომისიაში გადაცემა და შეუდგნენ მოსაზრების განხილვას.

**ევსეევი** გლეხთა ჯგუფის სახელით აცხადებს, რომ გლეხები მხარს დაუჭერენ სამი ივნისის კანონის შეცვლას, რადგანაც იგი მცხოვრებთა 80% საარჩევნო უფლებას ართმევს და მემამულის ერთ ხმას უთანაბრებს გლეხთა 200 ხმას. სამი ივნისის კანონი სასულიერო წოდებას და გლეხობას ერთნაირ წარმომადგენლობას აკუთვნებსო. ახალი საარჩევნო კანონი უფრო სამართლიანი უნდა იყოსო.

**მღ. ფილონენკო** უფლებათა გათანასწორების წინააღმდეგია. ხუთრობად შეიძლება მივიღოთ წლოვანობის ცენზის შემცირება 21 წლამდისო. მაშინ საარჩევნო უფლება მიენიჭებათ სოფლელ ახალგაზრდა ნაძირალებს, რომელთა მეოხებითაც გმინვა და კვნესა ისმის. ინტელიგენტთა წრეში კი მერვე კლასის მოსწავლეებს და პირველ კურსის სტუდენტებს ექნებათ უფლება არჩევნებში მონაწილეობისა. სასურველი არ არის მოსწავლე ახალგაზრდობის პოლიტიკაში ჩარევა.

**გრონსკი.** მხოლოდ საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი და ფარული საარჩევნო შეიძლება შეიქნეს დიადი რუსეთი და ნამდვილი საკანონმდებლო შემოქმედება.

**ვოლკოვი.** არსებული საარჩევნო კანონი ციმბირისთვის ფრიად საზარალოა.

**მარკოვი მეორე** აღნიშნავს, თუ რა შედეგის მოტანა შეუძლიან ოთხსართულიან ფორმულას: პირველი—საყოველთაო, სხვა სიტყვით რომ ვსთქვათ, სახელმწიფოს დამღუპველნი, უნიადაგონი, შემთხვევით მაძიებელნი უნდა მოვიდნენ ამ დარბაზში და რუსეთის იმპერიისთვის კანონები გამოსცენ. პირდაპირ არჩევნებს ის შედეგი ექნება, რომ სათათბიროში გლეხები ვერ მოჰყვებიან. თანასწორობა იმასა ჰნიშნავს, რომ შეერთებულ შტატთა მოქალაქე, რომელმაც ორი წლის წინად მიიღო რუსის ქვეშევრდომობა, ეტყვის რუსის ერს, შენი თანასწორი ვარო. ფარული საარჩევნო უფლება ყველასთვის ცხადია, რადგანაც ყველა ბნელი საქმეები ახდილად, ცხადლივ ვერ გაკეთდება და საიდუმლოდ უნდა სწარმოებდეს. ოთხ-სართულიანი ფორმულა რუსეთის მტრების მიერ არის მოგონილი (ტაში მარჯვნივ).

**კარაულოვი** ყაზახთა სახელით აცხადებს, რომ არსებული საარჩევნო კანონი ყოვლად უვარგისია, რადგანაც ყაზახთა ჯარი უწარმომადგენლოდ დასტოვა და გლეხთა უფლებანი შეჰკვეცაო. საარჩევნო კანონი არ შეეფერება იმ განზრახვათ, რომლითაც ხელმძღვანელობდა ხელმწიფე იმპერატორი სათათბიროს მოწვევის დროს. მეფეს ჰსურს ნამდვილი წარმომადგენელნი იყოლიოს სათათბიროში. ოღონდ მან იცოდეს თუ რა ჰსურს რუსეთს და მის მართვა-გამგეობას თვითონვე შესძლებსო (ტაში მარცხნივ).

**აფანასიევი** არსებული კანონი—გლეხთა უფლების გაქარწყლებაა.

კამათი შესწყვიტეს.

სათათბირო შეუდგა კადეტების შეკითხვის სწრაფ განხილვის მსჯელობას. შეკითხვა ეხება პეტერბურგისა და მოსკოვის ქალაქის უფროსთა მიერ გამოცემულ სავალდებულო დადგენილებით ხულიგანობასთან საბრძოლველ ზომების მისაღებად.

მინისტრთა ლოჟაში ზის შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგი **ჯუნკოვსკი.**

**მაკლაკოვი** იცავს შეკითხვის წრაფ განხილვას. შეკითხვა არა საჭიროებს კომისიის მერ შემუშავებას. მისი აზრი, მიზანი ის არის, ჰსურს თუ არა სათათბიროს, რომ რუსეთი უფლება მოსილ სახელმწიფოს წარმოადგენდეს. სათათბიროს არ შეუძლიან დუმილით გვერდი აუხვიოს საკითხს, მან უნდა აღიაროს, მხარს უჭერს თუ არა შემჩნეულს კურსს.

**ნოვიცკი.** მთავრობას ხელს ნუ შეუშლით ხულიგანობასთან ბრძოლაში, როდესაც მის საწინააღმდეგოდ კანონი არ არსებობს. თავისუფლების კლასიკურ ქვეყანაში—ინგლისში—არსებობს საგანგებო კანონი ხულიგანობასთან საბრძოლველად. კადეტებს, რომ მესამე სათათბიროში შეეტანათ ხულიგანობასთან საბრძოლველი წინადადება, ეხლა სწრაფი შეკითხვის შეტანა აღარა მოუხდებოდათ.

სათათბირომ 273 ხმის უმრავლესობით, წინააღმდეგ 89-სა, მიიღო შეკითხვის სწრაფი განხილვა და არსებითი განხილვას შეუდგა.

**მაკლაკოვი** უარჰყოფს იმ შესაძლებელ პასუხს, ვითომც შემკითხვენი ნაძირალების მოსარჩლენი იყვნენ. მთავრობას რომ საჭიროდ ეცნო ნაძირალებთან საბრძოლველად მარტოოდენ რეპრესიების მიღება და შესაფერი კანონ-პროექტი შემოეტანა, სათათბირო მთავრობას მხარს მისცემდა, შეიწყნარებდა არა მარტო სასამართლოს ბრძანებას, არამედ პოლიციისასაც. მაგრამ არავითარი საკანონმდებლო ზომა არ არის მიღებული. გუბერნატორთა თეთბირი ძველის იარაღით შეიარაღდა და მთავრობამ გამოსცა სავალდებულო დადგენილებანი, რომლითაც უკანონობა აღიარა (მარცხნივ ტაში). სავალდებულო დადგენილებათა ბოროტება და ვნება ის კი არის, რომ იგი ჰკრძალავს დანაშაულის ჩადენას, არამედ ის რომ მათ დარღვევას ადმინისტრატიული დევნა და სასჯელი მოსდევს. სავალდებულო დადგენილებანი ვერ მოსპობენ ნაძირალებს, ხოლო მშვიდობიან მცხოვრებთათვის კი დამამცირებელი და შეურაცმყოფელია.

მოლაპარაკის აზრით ყველაზე დამამცირებელია სავალდებულო დადგენილებათა კილო; ამ გვარ დადგენილებებს გამოსცემენ ხოლმე გამარჯვებულნი დაპყრობილ ქვეყნებში და ამისთვისაც ხალხის სიძულვილს იმსახურებენ; და თუ ამას სჩადის ნაციონალური მთავრობა, ამით იგი თავის წინააღმდეგ მშვიდობიან მცხოვრებთ ამხედრებენ (ტაში მარცხნივ) 17 ოქტომბრამდე ერობის უფროსს უფლება ჰქონდა მიზეზების აუხსნელად 7 დღით დაეპატიმრებინა გლეხი, ეხლა ადმინისტრაციამ მიითვისა უფლება 3 თვით დააპატიმროს ყველა. სავალდებულო დადგენილებანი იყო იმის მიზეზი რომ დღევანდლამდის გაგვაჩნია ბეჭვდითი სიტყვის კანონი, რადგანაც მთავრობას უფრო სავალდებულო დადგენილებით სარგებლობა ეადვილდება, ვიდრე კანონითა. ხულიგანობასთან საბრძოლველად სავალდებულო დადგენილების გამოცემა იმასა ჰნიშნავს, რომ საამისო კანონს არ ველირსებით. ცენტრალური მთავრობა მაშინ ადგენს სავალდებულო დადგენილებებს, როდესაც მთელი რუსეთი ერთის ოხვრითა, ერთის კვნესითა ჰგოდებს. ასეთ ყოფაში დარჩენა ყოვლად შეუძლებელია, სათათბირო იწვევს მთავრობას დაადგეს მანიფესტის გზას. ამ მოსაზრებით, აღარა დაგვრჩენია-რა იმის მეტი, რომ მივმართოთ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს და შევეკითხოთ: ეს არის ის ახალი კურსი, რომელიც მან აღნიშნა? (ტაში ცენტრსა და მარცხნივ).

**გოდნევი.** თუ შევიწყნარებთ, რომ 1881 წლის 14 აგვისტოს დებულებანი გაძლიერებულ დაცვის თაობაზე კანონის ძალით არის აღჭურვილი, რასაც მე არ ვეთანხმები, ამ შემთხვევაშიაც გამოცემულ სავალდებულო დადგენილებებს მიზნად უნდა ჰქონდეს სახელმწიფოს და საზოგადოებრივ უშიშროების, წესრიგის უზრუნველყოფა, ეგრედ წოდებულ „კრამოლასთან“ ბრძოლა, სავალდებულო დადგენილებანი არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს სისხლის სამართლის არსებულ კანონებს, ან და მათ იმეორებდეს. თვით შინაგან საქმეთა სამინისტრომ დაარღვია სავალდებულო დადგენილებანი გუბერნატორებისა იმ საკითხთა თაობაზე, რომელნიც სისხლის სამართლის კანონებს ექვემდებარება. პეტერბურგის ქალაქის უფროსს ეს უნდა მოეხსენებოდეს, რადგანაც რამდენჯერმე დაარღვია მისი დადგენილებანი შინაგან საქმეთა სამინისტრომ. თუ კი ქალაქის უფროსი თვის უფლებას კანონის ფარგლის გარეშე აფართოვებს, განა იგი დამნაშავე არ არის არსებულ წესწყობილების დამხობაში, რადგანაც იგი ძირს უთხრის საკანონმდებლო დაწესებულებათა უფლებას, რომელთაც მონარქთან ერთად, მარტო მათა აქვთ მინიჭებული კანონის გამოცემა. ოქტომბრისტთა სახელით მოლაპარაკე წინადადებას აძლევს სათათბიროს მიიღოს შეკითხვა, მხოლოდ არა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარისადმი, არამედ შინაგან საქმეთა მინისტრისადმი.

**პურიშკევიჩი.** შეკითხვის სწრაფ განხილვას მხარი დაუჭირა ოქტომბრისტებზე მემარჯვენე ფრაქციამაც კი; შეკითხვა მიმართულია მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარისადმი.

მოლაპარაკე აქა ჰხედავს გაერთიანებულ მთავრობის სხვა და სხვა ელემენტების ბრძოლას. ოქტომბრისტებს ჰსურთ, რომ კოკოვცევმა სათათბიროს წინაშე გამოჰფინოს მთავრობის წრეში მომხდარი შუღლი და უთანხმოება. შემკითხველებს არ უნდათ ანგარიში გაუწიონ იმ გარემოებას, რომელშიაც გვიხდება ცხოვრება. ხულიგანობა ეს ახალი მოვლენაა რუსეთში; ამაში პასუხისგება მესამე სათათბიროს აწევს კისრად. მთავრობამ რამდენიმე კანონ-პროექტები შეიტანა სათათბიროში, ხულიგანობასთან საბრძოლველად, მაგრამ ისინი კანცელარიის არქივის მტვერქვეშ განისვენებენ. მეოთხე სათათბირო იმის მაგივრად, რომ გონიერ კანონმდებლობითი მუშაობას შეუდგეს, კადეტთა განუხორციელებელ ოცნებებზე მსჯელობს. იქნება მთავრობამ ვერ აირჩია სათანადო გზა, მაგრამ მაინც რაიმე უნდა გაეკეთებინა. მთავრობა უნდა ებრძოდეს ხულიგანობის განვითარების მიზეზებს, რომელიც პრესის თავაშვებულებაშია დაბუდებული, დაბალ სასწავლებლებშია მოკალათებული, სოც.-დემ. ქადაგებაშია ჩასახული. მთავრობას შეიძლება ურჩიოთ ხულიგანობასთან საბრძოლველად ის გზა, რომელსაც დაადგა გაერთებულ თავად აზნაურთა კრება. ნუ დაივიწყებთ, რომ რუსეთი განიცდის კლასთა შორისო მწვავე ბრძოლას. მთავრობის მოვალეობაა დაიცვას მშვიდობიან მოქალაქეთა უფლებანი. მოლაპარაკე წინააღმდეგია შეკითხვის მიღებისა (ტაში მარჯვნივ).

შემდეგი სხდომა 13 მარტს მოხდება.

# ახალი ამბავი
## ტფილისი

✦ **მეფის მოადგილის ავადმყოფობის გამო.** მშობელთა წრეების ცენტრალურ საბჭოს თაოსნობით დღეს, შუადღის 12 საათზე, ალექსანდრე ნეველის სამხედრო ტაძარში პარაკლისს გადაიხდიან მეფის მოადგილის გრაფ ი. ი. ვორონცოვ-დაშკოვის ჩქარა განკურნებისათვის. გუშინ-წინ მეფის მოადგილის ავადმყოფობის გამო რომიდან ტფილისში ჩამოვიდა მეფის მოადგილის რძალი ბ. დ. ვორონცოვ-დაშკოვისა.

როგორც ტფილისში დეპეშა მოვიდა, ათინიდან ტფილისში წამოსული მეფის მოადგილის შვილი სოფიო ილარიონის ასული დემიდოვ-სანტომატო გზაზე ავად გამხდარა და ამ ჟამად ადესაში იმყოფება.

✦ **ილიას ძეგლი.** ქ. შ. წ.-კითხვის გამავრც. საზოგადოების გამგეობამ მცოდნე პირთაგან კომისია აირჩია, რომელმაც უნდა შეამოწმოს ილიას ძეგლის სამუშაო, შესრულებული ინჟ. პ. გ. მამრაძის მიერ. კომისიაში შედიან: ხუროთ-მოძღვრები ა. კალგინი და ს. კლდიაშვილი, მხატვარი გრინევსკი და მექანიკე ი. ნიკოლაძე.

ძეგლის კურთხევის დღის აღნიშვნა ამ გვარად არის განზრახული. კურთხევის დღეს მთაწმინდის ტაძარში ქართველი სამღვდელოება წ.-კ. საზოგადოების გამგეობის ყველა წევრის თანადასწრებით გადაიხდის წირვის შემდეგ პანაშვიდს განსვენებულ მგოსნის ილიას სულის მოსახსენებლად. პანაშვიდის შემდეგ აკურთხებენ ძეგლს. ამავ დღეს, საღამოს, ქართულ თეატრში საღამო გაიმართება ილიას ხსოვნის პატივსაცემად. განზრახულია, სხვათა შორის, რამდენიმე რეფერატი წაიკითხონ ილიას შესახებ. წ.-კ. საზოგადოების გამგეობამ წერილობით მიმართა ცნობილ ქართველ მოღვაწე-ლექტორებს, იკისრონ რეფერატების წაკითხვა. იქნება ქართველ მომღერალთა გუნდი, რომელიც შეასრულებს წმინდა ეროვნულ სიმღერებს. წარმოადგენენ სცენებს, წაიკითხავენ ლექსებს და სხვ.

✦ გუშინ გუბერნატორმა ქალაქის გამგეობას წინადადება მისცა, დაუყოვნებლივ წარუდგინოს მას ქალაქის საბჭოს 11 თებერვლის კრების ოქმი, რომელიც **ხმოსან ი. გ. სულაბერიძის საქმეს** შეეხება.

✦ როგორც გავიგეთ, **ქალაქის საელექტრონო სადგურის საქმების** გამო ერთ-ერთი ხმოსანი ქალაქის საბჭოს 11 მარტის კრებაზე შემდეგს შეკითხვას შეიტანს: 1) მართალია თუ არა, რომ საელექტრონო სადგურის ქონების დავთარი არ არსებობს, 2) თუ მართალია, ვინ იღებდა მასალას და სად ინახავდა, 3) ვის აბარია ახლა ქონება და 4) რამდენად მართალია ის, ვითომც ქალაქის გამგეობაში ამ ჟამად საჩქაროდ ადგენდნენ ამ დავთარს?

✦ განზრახულია მეორე სამისიონერო ეკლესიის გალავანში ქალთა **სამოწყალო სახლი**ააგონ. შეწირულებას აგროვებენ. სახლის ასაგებ თანხის გასაძლიერებლად ეგზარხოსის ნებართვით დიდმარხვაში ყოველ კვირაობით საძმო სახლში ფასიანი რელიგიურ-ზნეობრივი საუბრები გაიმართება.

✦ **რედაქციამ მიიღო** წ.-კ. გ. საზოგადოების მიერ გამოცემული **„ქაჯანა“ ნ. ლომაურისა.** ფასი ერთი შაური.

✦ **რომანოვთა გვარეულობის სამასის წლის მეფობის იუბილეს** აღსანიშნავად ტფილისში აგებენ ახალ სარკინისგზო ეკლესიას-ძეგლს, ნაცვლად ახლანდელ დროებით ეკლესიისა. საამშენებლო კომიტეტი უკვე შესდგა ინჟენერ სოლომკოს თავჯდომარეობით და ერევნის ეპისკოპოსის პიმენის მონაწილეობით.

✦ რადგანაც **უმაღლესი მანიფესტი** ჯერ-ჯერობით კარგად არ არის განმარტებული, მთავრობის დაწესებულებათა და კერძო პირებს შორის ხშირი გაუგებრობა ჰხდება სხვა და სხვა გადასახადების შესახებ.

✦ ქალაქის გამგეობას აზრად აქვს, **ქალაქის თვითმმართველობის შენობა** (ერევნის მოედანზე) გააფართოოს, რომელ აზრის განსახორციელებლადაც საჭიროა შეყიდვა ტფ. გუბერნიის თავად-აზნაურთაგან სახლისა, რომელიც ველიამინოვის ქუჩაზე მდებარეობს. ქალაქსა და თავად-აზნაურობის შორის ამ სახლის გამო მოლაპარაკება წინადაც იყო გამართული, მაგრამ ვერ შეთანხმდნენ. თავად-აზნაურობა აფასებდა დაახლოვებით 400,000 მან., ქალაქი კი ამის ნახევარსაც ძლივს აძლევდა. მოლაპარაკება ამ დღეებში კვლავ განახლდება.

✦ **ქალაქის გამგეობამ** დაადგინა, აღდგომამდე საბჭოს კრებას წარუდგინოს და საბოლოოდ გამოარკვიოს შემდეგი ფრიად მნიშვნელობანი საკითხები: 1) კონტროლის რეორგანიზაცია, 2) ლომბარდისა და სააუქციონო დარბაზის გაერთიანება, 3) ავჭალის მილის წყლის გაუმჯობესება, 4) ტრამვაის გამოსყიდვა და სხვა.

✦ **უპატრონო ბავშვთა თავშესაფარისათვის** ბავშვთათვის მზრუნველი ტფ. საზოგადოება ამ ჟამად შესაფერ ადგილს ეძებს. ამ საკითხის ასე თუ ისე გადასაწყვეტად საზოგადოებას დღეს საგანგებო კრება ექნება. საზოგადოების წევრთა ერთს ჯგუფს კრებაზე თავისი განსაკუთრებული მოსაზრება შეაქვს. მათის აზრით, ადგილის შეძენა საჭირო არ არის, რადგანაც საზოგადოება ღრმაღელეში, შუა ქალაქიდან 4 ვერსის მანძილზე, მოეპოვება საკუთარი ადგილი (შეწირული განსვენებულ ექიმის გლინკოს მემკვიდრეების მიერ). სადაც სდგას ორ-სართულიანი სახლი, რომელიც შეიცავს 10 ოთახს, მათივე აზრით, ეს სახლი უნდა შეკეთდეს და მაშინ იქ თავისუფლად მოთავსდება 25 ბავშვი.

✦ **საბირჟო ცნობები.** 9 მარტს შეთანხმება არ მოხდა. პროცენტიან ქაღალდების ფასი შემდეგია: ტფ. ქალაქის საკრედიტო საზოგადოების 5% ობლიგაციებისა: აფასებენ—86 მან. აძლევენ—85 მან. 50 კაპ., ტფ. სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის 5% გირავნობის ფურცლებისა: აფასებენ—82 მ. 75 კ., აძლევენ—82 მან. და ქუთაისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის 5% გირავნობის ფურცლებისა: აფასებენ—77 მ. 75 კ., აძლევენ—77 მან.

✦ **მევენახეობის და მებაღეობის საგუბერნიო კომიტეტმა** მთელი გორის მაზრის ვენახები ფილოქსერით დაავადმყოფებულად აღიარა, რის გამოც განზრახულია ახლანდელ ვაზების სრულიად მოსპობა. რა გზით აღადგინონ ვენახები გორის მაზრაში, ამ საკითხის შესახებ კომიტეტს ამ დღეებში კრებები ექნება მცოდნე პირთა მონაწილეობით. კრებებზე, სხვათა შორის, მიიწვევენ სამეურნეო საზოგადოებათა და მევენახეთა წარმომადგენლებს.

✦ კვირას, 10 მარტს, შესდგება **სახალხო კითხვები** შემდეგ აუდიტორიებში: 1) საექიმო საზოგადოების დარბაზში წაიკითხავს ქ-ნი ჩხეიძე „მიწის ძვრა“ და „დედის სიყვარული“. 2) ავჭალის აუდიტორიაში—ქ-ნი ფავლენიშვილი „მამა და შვილი“. 3) ნავთლუღში—ქ-ნი ჟურული „თავდადებულნი ქართველნი“.

✦ **რედაქციამ მიიღო** სამეურნეო ჟურნალი „მოსავალი“ (№ 4) შემდეგის შინაარსით: **ვ. რცხილაძე**—ვენახში სახმარებელი წამლები, **გ. გულბაათიშვილი**—რა ეშველება გამოფიტულ მიწას, **ს. ედილაშვილი**—კულტურული დუღილდება ანუ დროები და მისი მნიშვნელობა მევინეობაში, **გ. საყვარელიძე**—კახეთის აგრონომის სამოქმედო გეგმა 1913 წ, **ა. კახელაძე**—მერძევეთა ამხანაგობის ხელშეკრულობა.

✦ **ქუჩა მუშტაიდზე.** ქალაქის გამგეობამ 12 მარტისათვის, ნაშუადღევის 2 საათზე, საგანგებო თათბირი დანიშნა იმ ქუჩის გამო, რომელიც მუშტაიდზე უნდა გაიყვანონ მიხეილისა და დიდუბის ქუჩების შესაერთებლად. თათბირში მონაწილეობის მისაღებად გამგეობამ მიიწვია: სააბრეშუმო სადგურის უფროსი ივანოვი, მუშტაიდის ბაღის პატრონი ლორთქიფანიძე, საბაღოსნო სასწავლებლის გამგე პ. გ. მელია და სხვანი.

✦ **ნოქართა კლუბის** წესდება გუბერნატორმა დაამტკიცა. კლუბში გაიმართება მხოლოდ კულტურულ-გონივრული გასართობები, კლუბის წევრად შეუძლიან ჩაწერა ყველა ნოქარს, წლოვანობით არა ნაკლებ 21 წლისას. დღეს კლუბის წევრთა კრება მოხდება ქალაქის საბჭოს დარბაზში, დილის 11 საათზე. აირჩევენ კლუბის გამგეობის წევრთ და სხვა თანამდებობის პირთ.

✦ კვირას, 10 მარტს, ნაძალადევის თეატრში ნაშუადღევის პირველ საათზე გადახდილი იქნება პარაკლისი **მეფის მოადგილის გრაფი ილარიონ ივანეს ძის ვორონცოვ-დაშკოვის** განკურნებისათვის.

✦ გვთხოვენ გამოვაცხადოთ, რომ უმაღლეს სასწავლებელში მოსწავლე ქალთა სასარგებლოდ სადღესოდ დანიშნული **საღამო** (ტფილისის კრუჟოკში) **გადაიდო** 15 მარტისათვის.

✦ **სალიტერატურო დილა,** რომელიც 3 მარტს უნდა გამართულიყო ზუბალ. სახალხო სახლში, გაიმართება კვირას, 17 მარტს, იმავ პროგრამით. ნაყიდი ბილეთები ამ დილისთვის გამოდგება.

✦ ქალაქის საბჭოს სატეხნიკო კომისიამ დაადგინა, ტრამვაის საელექტრონო სადგური დაათვალიეროს ამ დღეებში.

✦ **ე. ა. ფეხნერი,** ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს სამოსწავლო ნაწილის ინსპექტორი, გუშინ ტფილისიდან გაემგზავრა.

✦ **ქალაქის სასალახოს რევიზიისა** შესახებ წერილების დაბეჭდვისათვის ქალაქის მთავარმა კონტროლიორმა გ. კ. ტერ-დავიდიანცმა სამართალში მისცა გაზ. „ზაკავკაზიე“-ს რედაქტორი ი. ი. რადიკე, „გოლოს კავკაზა“-ს რედაქტორი ვასილიევი და „გოლ. კ.“ თანამშრომელი „იან“-ი.

## საზოგადოებანი და კრებები

✦ **ქ. შ. წ.-კითხვის გამავრც. საზოგადოების გამგეობის** მორიგი კრება 7 მარტს მოხდა. წვრილმან საკითხთა გარდა გამგეობამ დაადგინა: მოიწვიოს 18 აპრილს, გამგეობის კრებაზე საზოგადოების განყოფილებათა წარმომადგენელნი, რომლებთანაც ერთად გამგეობამ უნდა გადასწყვიტოს შემდეგი მნიშვნელობანი საკითხები: 1) საზოგადოების გამგეობის საორგანიზაციო გეგმა, 2) საზოგადოების სკოლების მასწავლებელთა ნივთიერი უზრუნველ-ყოფა, 3) სკოლების პროგრამა 4) საზოგადოების სკოლების მასწავლებელთათვის საპედაგოგიო კურსების დაარსება და სხვა.

საზოგადოების გამგეობა ამ ჟამად მეტად უხერხულ მდგომარეობაშია ჩაყენებული იმის გამო, რომ განყოფილებანი თავის მოქმედების ანგარიშებს დღემდე არ უგზავნიან. ამ მიზეზის გამო გამგეობა წლიურ ანგარიშის შედგენას ჯერაც არ შესდგომია.

✦ **„ახალ კლუბის“** წევრთა წლიურ კრების გაგრძელება დღეისთვის არის დანიშნული, შუადღის 12 საათზე. კრება აირჩევს კლუბის ახალ წევრებს და მუდმივ სტუმრებს.

✦ **ქრისტიანობის აღმადგენელი საზოგადოების** საბჭომ დაადგინა ნივთიერი დახმარება აღმოუჩინოს იფარის (სვანეთში) მასწავლებლად ნამყოფს, ამ ჟამად მღვდელს ფერველს, რომელიც მასწავლებლად ყოფნის დროს დაჭერილი იყო ცრუ დაბეზღების წყალობით.

✦ ტფილისში დაარსდა **მიწის მზომელთა კავკასიის საზოგადოება,** რომელსაც აზრად აქვს, საერთო ძალ-ღონით შეიმუშავოს წმინდა სპეციალური საკითხები და ნივთიერი დახმარება აღმოუჩინოს თავის გაჭირვებულ წევრს. საზოგადოებას ჯერ-ჯერობით 60 წევრი ჰყავს. საწევრო ფული წელიწადში 6 მან.

✦ **საყინულეთა საწყობის საქმის მოღვაწეთა მეშვიდე კრების** მომწვევ კომიტეტს გუშინ კრება ჰქონდა. განიხილა ის საკითხები, რომელსაც კავშირი აქვს კრების მოწვევასთან. კრებას მოიწვევენ ტფილისში მიმდინარე წლის დეკემბერში.

✦ **ქალაქის საბჭოს** მორიგი კრება 11 მარტს მოხდება. განსახილველი აქვს 14 საქმე.

✦ **საგიმნასტიკო საზოგადოების „შევარდენი“-ს** გამგეობამ 7 მარტის კრებაზე დაადგინა: 17 მარტისთვის ვაჟთა 1 გიმნაზიის შენობაში საზოგადოების წლიური კრება მოიწვიოს 1912 წლის ანგარიშისა და 19[13] წლის ხარჯთ-აღრიცხვის განსახილველად და თანამდებობის პირთა ასარჩევად.

✦ **ქალაქის საბჭოს სატრამვაიო კომისიის** კრება 8 მარტს მოხდა. კრებას ტრამვაის დირექტორი ა. ბელოიც დაესწრო. კომისიამ განიხილა დირექციის მიერ ახლად შემოღებული ტარიფი (8 კ., ნაცვლად 5 კ.) ერევნის მოედნიდან ვაგზლამდე. კომისია ამტკიცებდა, რომ [ხელშეკრულ]ობის ძალით დირექციას ნება არ ჰქონდა, ტარიფი გაედიდებინაო. ბელოი წინააღმდეგ ამტკიცებდა. საკითხის გამოსარკვევად კომისიამ აირჩია მცირე კომისია, რომელსაც კრება გუშინ ჰქონდა. მცირე კომი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიის განმარტებას კომისია მოისმენს 11 მარტის კრებაზე, რომელსაც ა. ბელოიც დაესწრება.

### სასწავლებლებში

✦ **ავლაბრის მეხუთე გიმნაზიის** საპატიო მზრუნველად ქალაქის საბჭოს მიერ არჩეული ხმოსანი ა. ს. ბაბოვი მთავრობამ არ დაამტკიცა ამ თანამდებობაზე. საბჭო ახალ მზრუნველს აირჩევს. კანდიდატად ასახელებენ ქალაქის გამგეობის წევრს მ. ნ. ათაბეგოვს.

### სასამართლო

✦ **სასალახო რევიზიის გამო.** 19 მარტს მომრიგებელი სასამართლო გაარჩევს ქალაქის სასალახოს ადმშენებლის ინჟინერ ალაჯანოვისა და მოიჯარადრის ვახნიანსკის საქმეს. იგინი ხმ. ი. სულაბერიძემ თავდაპირველად სამედიატორო სამართალში გაიწვია, მაგრამ არ გაჰყვნენ. მასუკან სამართალში მისცა ცილისწამებისათვის, რომელიც გამოიხატა იმაში, რომ მათ განაცხადეს, სასალახოს რევიზორმა ხმ. სულაბერიძემ ქრთამი გვთხოვაო.

### ქ უ თ ა ი ს ი

✦ ქუთაისის **ქალაქის საქმეთა საკრებულომ** არ დაამტკიცა ქალაქის საბჭოს გადაწყვეტილება, რომ ახლად არჩეულ ქალაქის გამგეობის წევრს ჯამაგირად დაუნიშნოს წინანდელი 1800 მანეთის მაგივრათ წელიწადში 2100 მანეთი და ისევ ძველი ჯამაგირი დასტოვა.

ამავე საკრებულომ არ დაამტკიცა ქალაქის საბჭოს გარდაწყვეტილება კანტრალიორის თანამდებობის დაარსებისა, დანარჩენში მიმდინარე წლის ხარჯთ-აღრიცხვა დაამტკიცა.

✦ ქუთაისის გუბერნატორის კანცელარის გამგის თანაშემწე **მამფორია** ზუგდიდის მაზრაში მომრიგებელ შუამავლად დაინიშნა.

✦ მომრიგებელი შუამავალი თ-დი ვარლამ **ერისთავი** სამსახურს თავს ანებებს.

✦ **ვლ. მესხიშვილის საიუბილეოდ** კვირას დილა-საღამოს გაიმართება დღესასწაული. სამშაბათს და ოთხშაბათს დიდი ხალხი მიაწყდა კასას ბილეთების სასყიდლათ და, როგორც ირკვევა, ერთმა და იმავე პირმა რამდენიმე ბილეთი იყიდა. ზოგიერთ ამათგანი თურმე ბილეთებს ზედმეტ ფასად ყიდის. მიუხედავად იმისა, რომ საიუბილეო კომიტეტი ეცადა ჩვეულებრივი საყვედური არ გამოეწვია ბილეთების გაყიდვის დროს, იგი ამას ვერ ასცდა. ზოგიერთი დაწესებულება აპირობს ფულის მიძღვნას, ამათ შორის, ქალაქის გამგეობა და საადგილ-მამულო ბანკი.

✦ 24 მარტს, ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკში დანიშნულია **საჯარო ვაჭრობა** თოფურიასეული სახლის გადასაკეთებლად ბანკისათვის. როგორც გავიგეთ იჯარით აღების სურვილი ბევრს განუცხადებია.

✦ **ქალაქის მოურავის მოადგილე პ. ი. მოსიძემ** გუბერნატორს წარუდგინა საბჭოს დადგენილება, რომ აღძრულ იქნას შუამდგომლობა სამინისტროს წინაშე წყალსადენის პირობათა პროექტის მე-4 და 11 მუხ. შეცვლისა. ამასთანავე ტელეგრაფით დამოწმებული ვექილობა გაუგზავნოს ქალაქის მოურავს ხსენებული შუამდგომლობის აღსაძრავად.

✦ **ქალაქის მოურავმა** აცნობა პეტერბურგიდან ქალაქის გამგეობას, რომ თანახმაა ქალაქის ინჟინრის ადგილზე მოიწვიოს სამოქალაქო ინჟინერი ფრიკი მხოლოდ იმ პირობით, თუ ის სახელმწიფო სამსახურს თავს დაანებებს და ქალაქის საამშენებლო კომისიაც მისი დანიშვნის თანახმა იქნება.

✦ **მესხიშვილის იუბილეზე** დასწრება და ადრესის მირთმევა წ.-კ. ქუთაისის განყოფილების სახელით დაევალა საზოგადოების გამგეობის წევრს ბ. ბართლომე მოსეშვილს.

✦ **ერმ. ჭიჭინაძემ** შუამდგომლობა აღძრა ქუთაისის გუბერნატორის წინაშე, ნება მიეცეს გამოსცეს ქუთაისში ყოველდღიური ქართული გაზეთი **„იმედი“**.

✦ **უმაღლესმა სასულიერო მთავრობამ** სასურველად სცნო მღვდლებს გადახდეს 2 მან. ბედენიკით დაჯილდოვების დროს; 5 მან. სკუფიით; 10 მანეთი კამილავკითა და 15 მანეთი გულის ჯვრით დაჯილდოვების დროს.

✦ **წ.-კ. გ. ს. ქუთაისის განყოფილების** წლიური წევრთა კრება დანიშნულია 31 მარტს. კრების სამოქმედო გეგმა შემუშავებული იქნება შემდეგ სხდომაზე.

✦ ქუთ. კლასიკური გიმნაზიის უფროსი კლასის შეგირდმა **ფიბერმა** 7 მარტს რომანიულ ნიადაგზე **თავი მოიწამლა.** იგი შვილია ბაღდადის ექიმისა. ექიმები დროით მიეშველენ, მაგრამ ვერას გახდნენ.

✦ ქუთაისის **საგუბერნიო სატუსაღოს საავადმყოფოში გარდაიცვალნენ:** ტუსაღები—კიმოთე სირაძე და ანდრი თოლორდავა.

✦ 7 მარტს მოხდა **სახალხო უნივერსიტეტის** გამგეობის კრება. კრებამ შეიმუშავა ვლად. ალექსი-მესხიშვილის მისართმევი ადრესი. ადრესის მისართმევ წარმომადგენლებად კრებამ აირჩია: ალ. გარსევანიშვილი, გრ. ნასარიძე და მელიტონ ბერიშვილი.

✦ თებერვლის განმავლობაში ჭიათურიდან რკინის გზით 6,315,717 ფუთი **შავი ქვა** გაუზიდიათ.

✦ 8 მარტს ქ. ქუთაისში კაცხის საზოგადოებიდან სამრევლო სკოლების მეთვალყურე მღ. ცაგარეიშვილთან ჩამოვიდა 40-დე გლეხი, ესენი სჩივიან, რომ მათ არ სურთ მთავრობის მიერ ნებადართული სამინისტრო სკოლა და სთხოვენ მეთვალყურეს, სამრევლო სკოლა დაგვიარსეო.

✦ ამას წინად, პეტერბურგში დამცველ განყოფილების განკარგულებით შეიპყრეს გიგო ხოშტარია და არშაკ ბაღდასაროვი. როგორც იუწყებიან, ახლა ესენი იგზავნებიან ეტაპით ქ. ბაქოში.

✦ სოფ. **ხიბულაში** (ზუგ. მაზრა) ამ დღეებში პოლიციელებმა მოკლეს ცნობილი ყაჩაღი ესტატე საჯაია. საჯაია გავარდნილი იყო პოლიციელების შეიარაღებული წინააღმდეგობისათვის და სხვა და სხვა დანაშაულობისათვის.

✦ 20 თებერვალს, ქუთაისის საგუბერნიო სატუსაღოში და მის განყოფილებებში დატყვევებული იყო 1098 პატიმარი. 21 თებერვლის მანიფესტის ძალით სულ განთავისუფლეს 87 კაცი. ამათში პოლიტიკური მხოლოდ ორია, დანარჩენი შანტაჟისტები, ქურდები და სხვა.

✦ ქუთაისის საგუბერნიო საპყრობილის საავადმყოფოში 35 საწოლია. 1913 წელს დღემდის ავად იყო 126 ტუსაღი, ამათში გარდაიცვალა 55. ამ ჟამად საავადმყოფოში 44 ავადმყოფია.

### ჭიაური

✦ 7 მარტს, შუაღამის მერე, **ირაკლი დეკანოზიშვილის** სახლს ცეცხლი გაუჩნდა და მთლად გადაიბუგა. ზარალი სამას თუმანს აღემატება. სახლი დაზღვეული არ იყო.

### სოფლად.

✦ **ლანჩხუთში** მიხეილ ასკურავას განუზრახავს საზაფხულო თეატრის აგება.

✦ **ასკანაში** (გურია) გარდაიცვლილა ღრმად მოხუცებული 132 წლის თალაკვაძე, რომელსაც თურმე კარგად ახსოვდა მეფე ერეკლეს დრო.

## ქართ. საისტორიო-საეთნოგრაფ. საზოგადოების

### წევრთა კრება*)

ყველაზე საყურადღებო კითხვაა, თუ რომელ ერს უნდა ეკუთვნოსამაზონელების სახელოვანი ისტორია. პირველ ყოვლისა ცხადია, რომ ესენი ინდო-ევროპიელები არ იყვნენ. უკანასკნელები ისტორიულად დასავლეთიდან და ჩრდილოეთიდან შემოდიან. მცირე აზიაში პირველი მხრიდან შემოსევა შეუძლებელი იყო სანამ აქ ხეტელები იყვნენ; მეორე მხრიდან კი მე-XII საუკუნეს ეკუთვნიან. ჩვენ ყურადღებას ჯერ ხეტელები იპყრობენ. ეს მძლავრი და განთქმული ერი მე-XV საუკუნიდან ჰქმნის მცირე აზიაში უზარმაზარ სახელმწიფოს, რომლის სამხრეთის საზღვრები მესოპატომიამდე უწევს. სადამდე უწევდა მათი ჩრდილოეთის საზღვარი, არ იციან; მიუხედავად ამისა შეიძლება ვიფიქროთ, რომ სწორედ ეს არის ამაზონელების წარმომშობი ერი. მაგრამ საქმე იმაშია, რომ სწორედ იმ ხანაში, რომელსაც ვარაუდით ამაზონელთა ლაშქრობა ეკუთვნის ხეტელების ძლიერება მეტად შესუსტებულია და მალე მათ თითქმის სრულიად ელება ბოლო. თუ ხეტელებს თავს დავანებებთ, მაშინ ერთი გზა-ღა დაგვრჩება, რომელიც უნდა განხილულ იქმნას ამაზონელების ვინაობის გამოსაკვლევად.

ასირიულ წარწერების მიხედვით ქართველ ტომებს, ასურეთის ეპოქაში არა თუ თერმადონტის ველი ეპყრათ, არამედ მთელი პონტოს სამეფო (მაიერი), მცირე სომხეთი, კაბადოკია და ფრიგია. რა დროიდან უნდა ყოფილიყვნენ ამ ადგილებში ქართველები, ამაზე გადაჭრით რამის თქმა ძნელია. ჩვენი პატივცემული ისტორიკოსი ი. ჯავახიშვილი მათ ძველ საბინადროდ აღიარებს მცირე აზიას, მაგრამ წარწერებიდან აშკარადა სჩანს, რომ ესენი ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ იწევდნენ. ალბად ამაზე ემყარება მეცნიერ მაიერისა, შრადერისა, და კიპერტის აზრი, რომ ძველად ქართველების ტერიტორია ამიერ-კავკასიიდან იქამდე სწვდებოდა. ამას არქეოლოგიის დასკვნაც მხარს უჭერს, რომლის მიხედვითაც გადმოღმა კავკასია და სამხრეთი კულტურულად ერთსა და იმავ საფეხურზე იდგა. როგორც შესაძლებლობაც უნდა ავიღოთ თერმადონტის ველი ამაზონელების ხანაში მაინც ქართველების ხელში იქნებოდა.

მე-XII საუკუნის დასაწყისში ვხედავთ, რომ მესხების გეგემონიის ქვეშ მყოფ ქართველ ტომებს ჩრდილოეთიდან სამხრეთით, თითქმის მესოპოტამიის საზღვრებამდე მიუღწევიათ. აქ უსათუოდ საზღვრების ბუნებრივ გაფართოვებასთან გვაქვს საქმე, რადგან არსაიდან არ სჩანს, რომ მათ ამ დროს უკანიდან უფრო მძლავრი მტერი სდევნიდეს. ამიტომ ეჭვს გარეშეა, რომ თერმადონტის ველი კი არა, მცირე აზიის სამი მეოთხედი გაცილებით ადრე უკვე მათ ხელში იქნებოდა. პროფ. ვინკლერის აზრით, ფრიგია ქართველ ტომებს მხოლოდ მას შემდეგ უნდა დაეპყროთ, რაც ესენი ასურელების მიერ კუმუხში დამარცხებულ იქმნენ. მაგრამ ეს საღ მოსაზრებას ეწინააღმდეგება და ისტორიულ ანალოგიასაც. ეჭვს გარეშეა, რომ ძლიერ ასურეთთან შეჯახებამდე ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ მიმდინარე ქართველები მცირე აზიის მიდამოებს დაიპყრობდნენ და ზურგს გაიმაგრებდნენ. ასევე მოიქცნენ კიმერიელები. მაშასადამე მე-XII საუკ. დასაწყისში მესოპოტამიის საზღვრებზე მებრძოლ ქართველ ტომებს მცირე აზიის დიდი ნაწილი უფრო ადრე უნდა ჰქონოდათ დაპყრობილი. შეძლება ამ ომების აღწერაა პრიამოსის ამბავი, მისი ფრიგიაში ამაზონელებთან ბრძოლის შესახებ, სადაც ამაზონელები პირველად იხსენიება.

ქართველი ტომები ამ დროს საკმაო ძლიერნი იყვნენ, ეს იქიდანაც სჩანს, რომ ესენი ძლიერ ასურეთს პროვინციებს ართმევენ. მათს სიმამაცეს ამოწმებს ტიგლატპილესარის სიტყვები: „მესხები ჩემზე წინედ არავის დაუმარცხებიათო“. უფრო საყურადღებოა შემდეგი: Pseudolysias-ის სიტყვით, ამაზონელები ერთად-ერთნი იყვნენ, რომელნიც რკინეულით იყვნენ შეიარაღებულნი. ეს საკითხი მით არის საყურადღებო, რომ მეცნიერება ამ ლითონს მხოლოდ მე-XV საუკუნის შემდეგ იცნობს.

მეორე მხრით ისიც ჭეშმარიტებად შეიძლება ჩაითვალოს, რომ ამ ლითონის გამომგონი ერი ქართველები იყო. მაშასადამე ამაზონ-ქართველები ერთად ერთნი იქნებოდნენ რკინეულით შეიარაღებულნი. შესაძლოა ეს შეიარაღება იყო მიზეზი მათი სახელის საშიშრობისა მეზობლებისათვის.

რაც შეეხება ამაზონელების ცხენოსნობას, ამაზე ბ. სვანიძემ სთქვა: როგორც ბერძნული, ისე ასურული წყაროები მიგვითითებენ, რომ ძველი ქართველების (მეტადრე ტიბარენების) ტერიტორია განთქმული იყო საქონლით. ამაზე უნდა მიგვითითებდეს ეზეკიელის მოწმობაც, სადაც იგი თოგორმას ტიხოსთან ვაჭრობას იხსენიებს (ცხენებით). თოგორმას დღეს ბევრი ტიბარენების ქალაქს ტილგარეიმნაკს ადარებს, მაგრამ სომხეთადაც რომ აღვიაროთ იგი მითაც არაფერი დაშავდება, რადგან სომხები მე-VII საუკუნის ნახევრის შემდეგ ჩნდებიან სომხეთში, მანამდე კი მათი ტერიტორია ქართველებს და ქალდებს უჭირავთ.

ბოლოს კიდევ ერთი მომენტია საყურადღებო. ზემოდა სჩანდა, რომ ძველი გადმოცემები, რომელიც ამაზონელებს აგვიწერენ, სხვათა შორის მათ მომხიბლავ სილამაზესაც იხსენიებენ. ძნელი წარმოსადგენია, რომ სკითებს ან სხვა რომელიმე სხვა ძველ ერს მიეზიდნოს ბერძნებზე ამ მხრივ შთაბეჭდილება. მეორე მხრივ აშკარაა, რომ ქართველები ძველადვე იყვნენ ამ მხრივ განთქმულნი.

ჰეროდოტეს დროს კოლხები ასას ქალ-ვაჟს აძლევდნენ ხარკად სპარსელებს. გარდა ამისა მესხების და ტიბარენების მონებით ვაჭრობას შორეულ ტიროსთან ის აზრი უნდა ჰქონდეს, ცნობილი ისტორიკოსის პეერეთის არ იყოს, რომ „ჭკვიანი სემიტები კარგად არჩევდნენ ლამაზი ქართველი მონების უმაღლეს ხარისხს“.

ამით დაამთავრა მომხსენებელმა ამაზონელების შესახებ. არგონავტების ლაშქრობის შესახებ შემდეგ.

*) იხ. „სახ. გაზ.“ № 841.

## ვლ. მესხიშვილის იუბილეი ბათომში

ცხრა საათზე თეატრი ხალხით გაჭედილია. გარეთ თეატრის კარები მშვენივრად მორთულია თაღით—ცოცხალი ყვავილებით ‎დ შუაში მესხიშვილის სურათი, ფერადის ელექტრონით განათებული. ხალხი მოუთმენლად მოელის იუბილარს. მოწმენდილ ცაზე მთვარე ქათქათებს...

გამოჩნდა ეტლში მჯდომი იუბილარი. ხალხი „ვაშას“ ძახილით მიეგება.

იუბილიარი ს. მდივნის-დადიან-ანდრონიკაშვილის თანხლებით სცენაზე ავიდა.

აქ მშვენიერის შინაარსის სიტყვით მიჰმართა ს. მდივანმა.

შემდეგ წარმოადგინეს ერთი მოქმედება „სამშობლოდან“, ერთი მოქ. „ურიელ აკოსტიდან“ და ერთი მოქმედებაც „კრეჩინსკის ქორწილება“.

როლები რა თქმა უნდა, იუბილიარმა შეასრულა მეტად ხელოვნურად. ზღვა ტაშის ცემით დააჯილდოვა საზოგადოებამ იგი.

წარმოდგენის შემდეგ დაიწყო მილოცვები. მიულოცეს: 1) ადგილობრივი წ.-კ. გ. ს. განყოფილების სახელით მსახიობმა ბარველმა, 2) სომეხთა ადგილობრივ სცენის მოყვარეთა წარმომადგენელმა პალიევმა და მიართვეს გვირგვინი, 3) „მოგზაურის“ დასის სახელით მსახიობმა კორიშელმა, 4) სულხანიშვილის ლოტბარობით იმღერეს ვაჟა-ფშაველას ლექსი მიძღვნილი მესხიშვილისადმი. ეს ისე მოეწონა საზოგადოებას, რომ რამდენჯერმე გაამეორებინეს, 5) „ბათომის გაზეთის“ წარმომადგენელმა ადრესი წაუკითხა თვით რედაქტ. გუგუნავამ, 6) გიმნაზიის ქართველ მოწაფეთაგან შ. დადიანმა ცოცხალ ყვავილების გვირგვინი მიართვა, 7) ნოქრების წარმომადგენელმა სალოცავი სიტყვა უთხრა, 8) ქართველ მუშათაგან, 9) ანდრონიკაშვილისამ წაიკითხა ლექსი გელასაგან მიძღვნილი, 10) [illegible]ვა დადიანმა წაიკითხა წერილი, რომელიც მას ქუთაისიდან [illegible] ერთ ძველ მსახიობისაგან, 11) სულხანიშვილის ხორომ იმღერა „სამშობლო ხევსურისა“, რომლის მოძახილს კორიშელი ნამდვილ მთიულურად უძღვება და კარგი შთაბეჭდილებაც მოახდინა, 12) ს. მდივანმა მიართვა წითელი ხისაგან გაკეთებული მაგიდა სარკით და „ლითონი“ (როგორც თითონ უთხრა) პაკეთით.

ბოლოს იუბილიარმა აღელვებულის ხმით მიმართა საზოგადოებას. ბრწყინვალე დღესასწაული ღამის ორ საათზე დასრულდა.

შემოსავალმა **ას თუმანს** გადააჭარბა.

შემდეგ ნადიმი გაიმართა, ბევრი გრძნობიერი სიტყვა ითქვა. ნადიმმა დილის შვიდ საათამდე გასტანა.

აქედან მესხიშვილი ქუთაისს მიემგზავრება, სადაც მას საიუბილეოდ მოელიან.

ტრ. ი—ძე

## საბერძნეთის მეფე გიორგი პირველი

1845—1913

სალონიკში ანარქისტმა მოჰკლა საბერძნეთის მეფე გეორგი პირველი. იგი იყო მეორე შვილი დანიის მეფისა, ქრისტიან მე-IX სა. გიორგი დაიბადა 1845 წელს. მეფის გვირგვინი მიიღო საბერძნეთის საეროვნო კრების სურვილისამებრ 1863 წელს. გიორგის მეფობაზე თანხმობა გამოსთქვეს აგრეთვე რუსეთმა, საფრანგეთმა და ინგლისმა ლონდონის ხელშეკრულებით. გიორგიმ მეფობის მიღების წინ პირობა დასდო, რომ საბერძნეთის სამეფოსათვის მიემატებინა იონის კუნძულნი. ინგლისი, რომლის პროტექტორატის ქვეშ იმყოფებოდა კუნძულები, ამაზე დასთანხმდა. კანდიელთა აჯანყების დროს (1867), თუმცა გიორგი პირველი არ უშლიდა მოხალისეთ კანდიაში წასულიყვნენ საბრძოლველად, მაგრამ ვერ ჰბედავდა დიდ სახელმწიფოთა სურვილის წინააღმდეგ ოსმალეთისთვის გამოეცხადებინა ომი. ამ გარემოებამ ცოტაოდენად ჩრდილი მიაყენა მეფის სახელს. გიორგი მეფემ 1867 წელს ცოლად შეირთო დიდი მთავრის ქალი ოლღა კონსტანტინეს ასული. 1895 წელს გიორგიმ ომი გამოუცხადა ოსმალეთს. ამ ომში საბერძნეთი დამარცხდა. გიორგის მეფობის დროს საბერძნეთს დიდი წინ-სვლა დაეტყო. ამ ბოლო დროს, ხომ მან თავი ისახელა გმირულის ბრძოლით.

## სხვა და სხვა ამბავი

### მრისხანე დეპუტატი.

დეპუტატმა კრუპენსკიმ ოდესის გზათა სამართველოს საჩივრით მიჰმართა: სადგურის კიოსკის გამგე ქალმა რიგს გარეშე გაზეთი არ მომყიდა და იძულებული ვიყავი 5 წუთს მელოდნაო. გზათა სამართველო ამის გამო შეეკითხა სადგურის უფროს, რაზედაც მან განაცხადა, რომ სადგურის უფროსი მოვალე არ არის თვალყური ადევნოს კიოსკში რიგის დაცვასო. განრისხებული დეპუტატი არ დაკმაყოფილდა ამას და ამავე საჩივრით მიჰმართა კიოსკების კონტრაგენტოს. კონტრაგენტომ განმარტება მოსთხოვა კიოსკის გამგე ქალს. გამგემ უპასუხა: მოვალე არა ვარ ყველა დეპუტატებს ვიცნობდე, ხოლო ვალდებული ვარ წესრიგი შევასრულოო.

ეს ის კრუპენსკია, რომელმაც გამოიანგარიშა, თუ თითო წუთი სახელმწიფო სათათბიროსი რამდენად უღირს ხალხსო, და ალბად სადგურზე დაკარგული 5 წუთიც იმიტომ დაჰნანებია.

## ლენის ამხანაგობა და სენატორ მანუხინის რევიზია.

ლენის ოქროს მრეწველთა ამხანაგობამ განიხილა სენატორ მანუხინის მოხსენების ის ნაწილი, ლენის სამრეწველოს-საეკონომიო მხარეს რომ ეხებოდა. მოხსენება ლენის ამხანაგობას გადასცა ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრმა მინისტრთა საბჭოს დავალებით. მრეწველთა სამმართველო დასთანხმდა მანუხინის აზრს, რომ რადგანაც სამრეწველოები მოშორებით მდებარეობს კულტურულ ცენტრიდან, მუშათა მდგომარეობის მოწეს-რიგება მარტოოდენ სამრეწველო ადმინისტრაციის ნებაყოფლობაზეა დამოკიდებული. ამ მოსაზრებით გამგეობამ გადასწყვიტა, ძირითადი რეფორმები მოახდინოს მუშათა ყოფა-ცხოვრების გასაუმჯობესებლად. პირველ ყოვლისა, გამგეობამ შეიმუშავა პროექტი მუშათა საცხოვრებელ ბინებს სასურველად მოწყობისა. პროექტის განხორციელება განზრახულია ამ გაზაფხულზე.

თანახმად სენატორ მანუხინის აღნიშნულ ნაკლისა სანოვაგისა და სამკურნალო ორგანიზაციათა დარგში, გამგეობამ გადასწყვიტა მიიღოს ყოველივე ზომა ნაკლის გასასწორებლად. ყურადღება მიქცეულია აგრეთვე ქალთა მუშაობისა და მუშათა ხელფასის მოწესრიგებაზე.

ლენის ოქროს მრეწველთა გამგეობა იმ დასკვნამდე მივიდა, რომ მთავრობა ხელს უნდა უწყობდეს მზრუნველობით და მფარველობით იმ გვარ ამხანაგობებს, რომელნიც მდიდარ, მაგრამ უდაბურ ადგილებში ჰმოქმედებენ მრეწველობის ასაყვავებლადაო.

## არეულობა სამხედრო-სამკურნალო აკადემიაში

ჩვენ გაზეთში რამდენიმე ცნობა გვქონდა სამხედრო-სამკურნალო აკადემიაში მომხდარ არეულობის თაობაზე. რაც დღე გადის, თან-და-თან უფრო მწვავდება უთანხმოება. ამ ბოლო დროს მთავრობის ყურადღება მიიქცია სამკურნალო აკადემიამ. სარწმუნო წყაროებიდან იტყობინებიან, რომ მინისტრთა საბჭო განიხილავს სამკურნალოში მომხდარ ამბებს და საშუალებას გამოსძებნის გამწვავებულ მდგომარეობის დასაცხრობად. უთანხმოების ქვაკუთხედი სამხედრო სალამია. მარკოვინი შეიქნა მსხვერპლად ამ სალამისა. იგი დასჭრა შტაბს-კაპიტანმა სალამონოვმა. დაჭრილ სტუდენტს რუსეთის სტუდენტებისაგან, მეგობრობრებისაგან და თანამგრძნობელთაგან დეპეშები, წერილები და ყვავილები მისდის, რითიც თვის გულშემატკივრობას უცხადებენ თავგასულობის მსხვერპლს.

2 მარტს აკადემიაში სტუდენტების დიდი მღელვარება იყო. უკმაყოფილებას აცხადებენ ცირკულიარებით შექმნილ მდგომარეობის წინააღმდეგ. სტუდენტები ჯგუფ-ჯგუფად შეიკრიბნენ, გაზეთებს ჰკითხულობენ, მსჯელობენ, საერთო გუგუნი სდგას დარბაზსა და ტალანში.

ლექციის გათავების შემდეგ, ერთმა სტუდენტმა დაიწყო ხმა მაღლა კითხვა გაზეთისა, სადაც მოთხრობილი იყო აკადემიის სტუდენტის და ოფიცრის შეტაკება. აუდიტორიაში მაშინვე გაჩნდა კურსის უფროსი ოფიცერი პოლკ. გეიმანი და სტუდენტს გაზეთის ხმა მაღლა კითხვა აუკრძალა. სტუდენტები ოფიცერს სტვენით და კიჟინით შეჰხვდნენ. სტუდენტები მხოლოდ მაშინ დამშვიდნენ, როდესაც გეიმანმა ბოდიში მოითხოვა.

დიდ პროსპექტზე სტუდენტმა ვ—მ სალამი არ მისცა ერთ ოფიცერს. ოფიცერმა შეაყენა სტუდენტი და სალამის მიცემა მოსთხოვა. სტუდენტმა თხოვნა აუსრულა. ოფიცერმა ბრძანების კილოთი მიჰმართა სტუდენტს და სალამის გამეორება სთხოვა, რაზედაც სტუდენტმა უარით უპასუხა. მაშინ ოფიცერი მივარდა სტუდენტს და ძალით მოიწადინა სტუდენტს მიედო ხელი ქუდზე. სტუდენტმა თავისი გვარი უთხრა ოფიცერს. ოფიცერმა შეჰკივლა: „სცრუობთ, გვარებს იგონებთო“. სტუდენტმა შენიშვნა მისცა ოფიცერს: „ნება არა გაქვთ, სამხედრო-სამკურნალო აკადემიის სტუდენტს შეურაცყოფა მიაყენოთო“. „თქვენ სტუდენტი კი არა, უბრალო ჯარის კაცი ხართო“ — უპასუხა უკმეხის კილოთი ოფიცერმა.

ცნობილმა მოსკოველ ქველმოქმედმა შახოვმა სურვილი გამოსთქვა დახმარება აღმოუჩინოს დაჭრილ სტუდენტ მარკოვინს და სწავლა გააგრძელებინოს, თუ მას სამხედრო აკადემიაში აღარ მიიღებენ.

## ბალკანეთის ომი

### დეპეშები.

8 მარტი.

**ბელგრადი.** „სამოუპრავა“ ღრმა მწუხარებას გამოსთქვამს გიორგი მეფის მოკვლის გამო. განსვენებულის როლი ბალკანეთის კავშირში დიადი იყო, მაგრამ თუ ჰფიქრობენ, რომ ეს ამბავი კავშირს შეარყევს, ძალიან სცდებიან. მოკლულია მეფე გიორგი, მაგრამ სცოცხლობს საბერძნეთის ერი, ჯარი და ბალკანეთის კავშირი.

**სტამბოლი.** ჩათალჯის და ბულაირის პოზიციებზე ბრძოლაა.

**სოფია.** ჩათალჯიდან იტყობინებიან, რომ ოსმალეთის დივიზიამ არტილერიით იერიში მიიტანა ბულგართა მარცხენა ფრთაზე, მაგრამ დიდის ზარალით უკუქცეული იყო. ოსმალეთის მეორე დივიზია ბულგარეთის ჯარის შუაგულზე მივიდა, მაგრამ ბულგარებმა იერიშით მოიგერიეს ‎დ უკუაქციეს. ოსმალებს მოუკლეს და დაუჭრეს 500 კაცი. საღამოთი ოსმალეთის ექვსი ბატალიონი შეეცადა იერიში მიეტანა ბულგარების მარცხენა ფრთეზე. მაგრამ უკუქცეულ იყვნენ.

**ათინა.** ხვალ მეფე ვენიზელოსის თანხლებით სალონიკში წავა. მეფის ნეშთს ოთხშაბათს წაასვენებენ. ხუთშაბათს გვამს ათინაში მოასვენებენ. დაკრძალვა, შეიძლება, 17 მარტს მოხდეს.

**სალონიკი.** ქვრივი დედოფალი დილით სამხედრო გემით მოვიდა. მას შეჰხვდნენ მეფის-წული ნიკოლოოზი და დიდი მთავრის მეუღლე ელენე ვლადიმერის ასული. დედოფალი სასახლეში მივიდა და მთელ დღეს იმ ოთახში გაატარა, სადაც მეფის გვამი ასვენია.

მკვლელი კიდევ უარზეა და მოკვლის მიზეზს არ ასახელებს.

**სტამბოლი.** საბერძნეთის გაზეთები უარჰყოფენ, ვითომც მეფის მკვლელი ბერძენი იყოს. სარწმუნო წყაროებიდან ირწმუნებიან, რომ მეფის მოკვლა ებრაელ-მასონთა კომიტეტმა მოაწყოვო. მიზნად კომიტეტს დასახული ჰქონდა, სალონიკში და მაკედონიის სხვა ქალაქებში მღელვარება გამოეწვია და უცხო სახელმწიფონი ჩაერია საქმეში.

### გაზეთებიდან

### სკუტარის ალყა.

მიუხედავად ავსტრიის პროტესტისა, მოკავშირეთა საალყო ჯარი შეუფერებლად ამზადებს საბოლოო იერიშს. ტარაბოშის მხრიდან ყოველდღე არტილერიის ბრძოლაა. ბუშატიდან და აშტიდან (მოკავშირეთა სიმაგრეებია) სერბიის საციხოვნო არტილერია დიდ ზარალს აყენებს ბულიაის ციხეებს. ბრდიცაში მათი სროლისაგან აფეთქდა ოსმალთა საარტილერიო საწყობი. ქალაქშიც საშინელი მდგომარეობა შეიქნა: არ არის ადგილი, სადაც ყუმბარები არ ცვივოდეს. რადგან დიდ სახელმწიფოთა წარმომადგენლებმა სურვილი განაცხადეს ციხიდან მშვიდობიან მცხოვრებთა, კონსულთა და უცხოელთა გამოშვებისა, შეერთებულ ჯარის მთავარ-ბანიკიდან, სკუტარის ტბით, ქალაქს წავიდნენ მოალყეთა დესპანები ციხის უფროსთან მოსალაპარაკებლად.

**ჩათალჯასთან.**

აგერ მესამე დღეა, რაც ჩათალჯის ციხეებთან დიდი ბრძოლა სწარმოებს. ოსმალების ჯარმა პირდაპირ ხონთქრისაგან მიიღო იერიშის დაწყების ბრძანება, რის შემდეგაც ორი მხრით დაიძრა მტრისკენ. ბულგარელები მხნედ იგერიებენ მათ და ზოგ ადგილს თვით ძლიან იერიშით. მაგ. დერკოსის ტბასთან მათ დიდძალ ჯარს მოუყარეს თავი და ცდილობენ ოსმალთა მარჯვენა ფრთის შეკვეცას. შავი ზღვის სანაპიროებში ყველგან ნაღმები ჩააწყვეს, რათა ოსმალთა სამხედრო გემები ვერ შესძლონ ახლოება და ხმელეთის ჯარის დახმარება.

# ბალკანეთი და ევროპა

**დეპეშები.**

8 მარტი.

**სოფია.** სოლისტრიისა და დობრიჩის ოლქთა დეპუტაციამ თხოვნით მიმართა დიდ სახელმწიფოთა წარმომადგენლებს, იხსნან ძცოვრები რუმინიასთან შეერთებისაგან. რუსეთის ელჩმა მიიღო დეპუტაცია და აღუთქვა, რომ თხოვნას მთავრობას მოახსენებო.

**ვენა.** საღამოს გაზეთები იუწყებიან, რომ კვირას ლაკოვის ოლქში ჩერნოგორელების ძიერ 400 კათოლიკე იძულებული იყო მართლ-მადიდებლობა მიეღო. ჩერნოგორელები თოფის სიკვდილით ემუქრებოდნენ. დღევანდლამდე მართლ-მადიდებლობა მიიღო ექვსმა სოფელმა.

ჩერნოგორიის წინააღმდეგ გაზეთების გალაშქრებამ ბირჟაზე ფასიან ქაღალდების დაცემა გამოიწვია.

დაიჭირეს ოთხი გაზეთი, რომელთაც ფლოტის მოძრაობაზე ცნობა მოათავსეს.

**ბუდაპეშტი.** ჰუნგრეთის „კორესპონდენც ბიურო" იუწყება, რომ გემი „შკოდრა" მედუაში ტვირთის მოსახსნელად მისულა. ნავთსადგურის უფროსმა და პლაც კომენდანტმა მოითხოვეს ზღვაში გასულიყო. მოიყვანეს საბერძნეთის ექვსი ტრანსპორტი სერბიის ჯარით და სურსათით. „შკოდრის" კაპიტანმა ბლასიჩმა უარი განუცხადა. ნავთსადგურის უფროსი დაემუქრა. ამ დროს მოვიდა „ჰამიდიე" და სამი ტრანსპორტი ჩაძირა და სამიც ძლიერ დააზიანა. როცა „ჰამიდიე" გაბრუნდა, ნავთსადგურის უფროსმა უბრძანა ბლასიჩს, სერბიის ჯარის-კაცები გადაეჩინა. ბლასიჩმა უარი უთხრა. პლაც-კომენდანტი დაემუქრა, დაგხვრეტავთო. გემზე მივიდა ჩერნოგორიის ჟანდარმი, რევოლვერით დაემუქრა; მექანიკოსებს უბრძანა გემი შეეცურებინათ ზღვაში, და ძალით აასრულებინეს ბრძანება. ამ დროს განმავლობაში კაპიტანი მივიდა ნავთსადგურის უფროსთან და სთხოვა, ნება მომეცით ფიუმეში წავიდეო. უფროსმა ნება დართო და ხელი მოაწერინა კაპიტანს, რომ არავითარი შეურაცხყოფა არ მიუყენებიათ მისთვის.

**ბუდაპეშტი.** ჰუნგრეთის პრესა განაგრძობს სერბიის და ჩერნოგორიის წინააღმდეგ გალაშქრებას. ოფიციოზი „ბუდაპესტი ნაპლი" სწერს, რომ თუ ჩერნოგორიამ ეხლავე არ დააკმაყოფილა ავსტრია-ჰუნგრეთის მთავრობა, საქმე სხვანაირად დატრიალდებაო.

**პარიზი.** ავსტრიის ელჩმა პარიზში ჟონარს განუცხადა, რომ ჩერნოგორიის საქციელმა სკუტართან, აიძულა ავსტრია-ჰუნგრეთის მთავრობა ადამიანების ინტერესთა დასაცავად ცეტინიეში პროტესტი განეცხადებინა, და ალბანეთის სანაპიროებისაკენ კრეისერთა დივიზია გაეგზავნა.

**პეტერბურგი.** მოვიდა საფრანგეთის ახალი ელჩი დელკასე.

**გაზეთებიდან.**

**ზავის მოლოდინში.**

დიდმა სახელმწიფოებმა ერთხმად დაადასტურეს ელჩთა ლონდონის კონფერენციის დადგენილება, რომ ქ. სკუტარი ალბანეთს უნდა ეკუთვნოდეს, უარჰყვეს მოკავშირეთაგან სამხედრო საზღაურის მოთხოვნილება და თავის წარმომადგენლებს მიანდეს, განუცხადონ ცეტინიისა, ათინისა, ბელგრადისა და სოფიის მთავრობებს, რათა მათ უსათუოდ მიიღონ დიდ სახელმწიფოთა შუამდგომლობა ზავის ჩამოსაგდებად და შეაჩერონ სამხედრო მოქმედება.

**გერმანიის წუხილი.**

სკუტარის საკითხი მეტად აწუხებს გერმანიის მმართველ წრეებს. რუსეთს ორპირობას უკიჟინებენ და ეშინიათ, რომ იგი სკუტარის დამხობის შემდეგ ჩერნოგორიის მხარეს დაიჭერს. რადგან გერმანიის დიპლომატია კვლავ მოელის ავსტრია-რუსეთის დამოკიდებულებათა გამწვავებას ამიტომ ცდილობს საჩქაროდ შეიმუშავოს ზავის ახალი პირობები იმ იმედით, რომ რუსეთის დახმარებით მიაღებინოს იგინი ბალკანეთის მოკავშირეებს. რაც შეეხება სკუტარის, გერმანიის მმართველი წრეები ამ ქალაქს ალბანეთის ავტონომიურ სახელმწიფოს საკუთრებად სთვლიან და ამიტომ არაოდეს არ დასთანხმდებიან, რომ იგი ჩერნოგორიას დაეთმოს.

# დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტო)

8 მარტი.

**საზღვარ-გარედ**

**პარიზი.** ბარტუ დასთანხმდა კაბინეთის შედგენას. ბარტუ ებაასა პრესის წარმომადგენლებს დ განაცხადა, რომ მის პროგრამაში შევა სამი წლის სამხედრო სამსახური დ ორივე პალატის მორიგება საარჩევნო რეფორმის საკითხშიო. ჰფიქრობენ, რომ ეტიენი და ბოდენკი სამინისტროში დარჩებიან.

**პარიზი.** პოლიტიკოსთა წრეებში იმედოვნებენ, რომ ბარტუ შესძლებს კაბინეთის შედგენას. გარეშე საქმეთა მინისტრად პიშონს ასახელებენ, შინაგან საქმეთა—ლუპიეის, ფინანსთა—კლოცს, სახალხო განათლების—ბარტუს, იუსტიციის—ვივიანის.

**პარიზი.** პიშონმა მიიღო გარეშე საქმეთა მინისტრის პორტფელი.

**რუსეთი.**

**პეტერბურგი.** სატარიფო დაწესებულებათა განსახილველად წარადგინეს საკითხი, დაწესდეს მეოთხე კლასის მოგზაურთათვის გადაუჯდომელი ბილეთები.

**პეტერბურგი.** 6 მარტს ოფიციალურად უარჰყვეს გაზეთ „რეჩის" ცნობები, ვითომც მინისტრთა საბჭოში უთანხმოებანი ჰსუფევდეს. მიუხედავად ამისა „რეჩი" მაინც განაგრძობს ყალბ ცნობების გავრცელებას, რისთვისაც რედაქტორი ივანოვი დააჯარიმეს.

# რუსეთი

**საღამო მიხაილოვსკის ხსოვნის აღსანიშნავად.**

3 მარტს, ტენიშევის სასწავლებლის დარბაზში (მოსკოვი) გაიმართა საღამო მიხაილოვსკის ხსოვნის აღსანიშნავად. საღამოს დაესწრო მოსწავლე ახალგაზრდობა და ინტელიგენცია. სიტყვები წარმოსთქვეს კოვალევსკიმ, ივანოვ-რაზუმნიკმა და სხვებმა. ორატორები საზოგადოებამ მხურვალე ტაშით დააჯილდოვა.

**მანიფესტი ირღვევა.**

21 თებერვლის მანიფესტის ძალით გაანთავისუფლეს მეზენში სტუდენტი სუხოტინი, მაგრამ გზაში ისევ შეიპყრეს და უკანვე გაამგზავრეს.

**მაკლაკოვი და სინიდისის თავისუფლების კანონ-პროექტები.**

მინისტრთა საბჭო ამ ახლო მომავალში განიხილავს შინაგან საქმეთა მინისტრის აზრს სათათბიროში შეტანილ სინიდისის თავისუფლების საკანონმდებლო მოსაზრებაზე.

მაკლაკოვის აზრით, სათათბიროს კანონ-პროექტები სინიდისის თავისუფლების თაობაზე, სრულიად არ შეეფერება ხალხის ნამდვილ მოთხოვნილებას. მათი შინაარსი, საკითხის სირთულესთან შედარებით, ღარიბია. თუ ვინიცობაა კანონ-პროექტები კანონად იქცა, მაშინ საკითხების გადასაწყვეტად, სამინისტროს მოუხდებოდა არა კანონის ნორმებით სარგებლობა, არამედ ცირკულიარების გამოცემა. სამინისტრომ გადასწყვიტა გადაათვალიეროს სათათბიროს მიერ განუხილველი კანონ-პროექტები და შეუფარდოს ხალხის ნამდვილ მოთხოვნილებებს. მინისტრის აზრით, მთავრობას უფლება არა აქვს რომელიმე სარწმუნოებას იმაზე მეტი უპირატესობანი მიანიჭოს, რაც კანონით ეკუთვნის მხოლოდ სახელმწიფოებრივ სარწმუნოებას. შინაგან საქმეთა მინისტრს სასურველადაც და აუცილებლადაც მიაჩნდა სინიდისის თავისუფლების კანონ-პროექტები სამინისტრომ შეიმუშაოს, მით უმეტეს, რომ მას ამ დარგში 7 წლის გამოცდილება აქვს.

# თეატრი და ხელოვნება

**ქართული თეატრი.** მოვაგონებთ ჩვენს მკითხველებს, რომ დღეს ქართულს თეატრში წარმოდგენილი იქნება ქართველ მსახიობთა ამხანაგობის მიერ შექსპირის სახელ-განთქმული ტრაღედია „ოტელლო". ოტელლოს როლს შეასრულებს ვალ. გუნია, იაგოსას—მესხი, დეზდემონასას—ქიქოძე დ სხვ. ადგილების ფასი ყველასათვის ხელმისაწვდომია. პიესას რეჟისორობს ვალ. გუნია. განახლებული დეკორაციები და ტანისამოსი.

16 მარტს, ქართულ თეატრში ჩვენი ახალგაზრდა თანამემამულე, ვიოლონჩელზე დამკვ ელი **ილიკო აბაშიძე** ფრიად საგულისხმო კონცერტსა ჰმართავს. თეატრის კასაში ბილეთები უკვე იყიდება. კონცერტზე შემსვლელს კლუბში შესვლის უფლება არა აქვს და არც ვალდებულია კლუბში შესასვლელი ფასი გადაიხადოს.

**ზუბალაშვილის სახალხო სახლი.** დღეს, შუადღის 12 ნახ. საათზე დანიშნულია სალიტერატურო-სამუსიკო **დილა. გ. თ. ჟორდანია** წაიკითხავს ლექციას „დანაშაული და სასჯელი ძველად და ეხლა". შემდეგ გაიმართება საკონცერტო განყოფილება.

**ავლაბრის თეატრი მეზუროვისა.** დღეს, საღამოს რვა საათზე ხარფუხის ქართული წარმოდგენების მმართველი წრის რეჟისორის **ს. პეპანოვის საბენეფისოდ,** ქ. ნ. დავითაშვილისა და ვ. აბაშიძის მონაწილეობით, წარმოდგენილ იქნება „უდანაშაულოდ დასჯილნი". ნეზნამოვის როლს ბ. პეპანოვი შეასრულებს.

**ქუთაისი.** მადლობის ღირსია ბ-ნი **ევლახოვი,** რომელმაც შარშან და წრეულს დიდ-მარხვის მეორე კვირის განმავლობაში ტფილისის ოპერის გასტროლები მოაწყო. წრეულს განსაკუთრებით ოპერა ყოველის მხრით აკმაყოფილებს ქუთაისის საზოგადოებას, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ჩვენი თეატრის მოუწყობლობას და სიპატარავეს, რაც ხშირად შეუძლებლად ხდის ოპერების წესიერად წარმოდგენას.

ვოკალური მხრით ოპერის დასს ამშვენებენ ისეთ ძალებით, როგორიც ქ-ნი საბანეევა, ბ-ნი სარაჯიშვილი, ლაზარევი და სხ. ორკესტრი და ხოროც საკმაოდ სრულია დ ამიტომ გასაკვირველი არ არის, რომ ქუთაისის საზოგადოება ეტანება ოპერას მიუხედავად იმ დიდი ხარჯისა, რომელიც გასწია ბ-ნ მესხიშვილის იუბილეს მოლოდინში. ოთხშაბათს, 6 მარტს საოპერო დასმა დასდგა ბიზეს—„მარგალიტის მაძიებელნი". ივ. სარაჯიშვილის შეუდარებელმა აღსრულებამ უმთავრესი როლის ვოკალური მხრით, აღტაცებაში მოიყვანა მთელი საზოგადოებისა, გარდა ერთი მანდილოსანისა, რომელსაც ჰგონებია, რომ სარაჯიშვილი მარტო მისთვისაა მოსაწონი, რომ იგი ქართველია. სარაჯიშვილის შესაფერი პარტნიორები აღმოჩნდენ ქ-ნი საბანეევისა და ბ-ნი ლიუბჩენკო. უკანასკნელმა, წინა ღამეს თავადის როლში (პიკოვაია დამა) რამდენათაც სუსტი შთაბეჭდილება მოახდინა, იმდენათ კარგი იყო იგი „მარგალიტის მაძიებელში".

დასი ქუთაისს დასტოვებს შაბათს და მანამდის წარმოადგენს „კარმენს", „ლაკმეს" და „ევგენი ონეგინს".

**რედაქტორ-გამომცემელი ა. ჭუმბაძე.**

# გამოსადეგი ცნობა

## მატარებელთა მიმოსვლა

(ზამთრობით).

**15 ოქტომბრიდან.**

(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით).

**ტფილისიდან გადის**

**ბაქოსაკენ:** სამგზ.-საბარგო № 8, საღ. ს. 26 წ. ჩქარი № 2, დილ. 10 ს. 14 წ. საფოსტო № 4, ღამის 12 ს. 36 წ. სამგზავ. № 6, ნაშუადღ. 6 ს. 31 წ. ნარევი № 106. საღ. 7 ს. 20 წ.

**ბათომისაკენ:** სახ. №№ 107, დილ. 4 ს 38 წ. სახ. № 5, ნაშ. 4 ს. 38 წ. საფ. № 3, დილ. 9 ს. 50 წ. სახ. № 4, საღ. 9 ს 4 წ. სახ. № 11, ღამ. 10 ს. 2 წ.

**ბაქოსკენ:** ნარევ. № 106, საღ. 7 ს. 26 წ.

**ერევანისკენ:** სახ.-საბ. № 8;7, შუადღ. 1 ს. 6 წ.

**ჯულფისკენ:** საფ. № 4;3, ღამ. 1 ს. 11 წ.

**ყარსისკენ:** სახ.-საბ. № 6;5, საღ. 8 ს. 10 წ.

**ბორჯომისაკენ:** სახ. № 9/10 6, ნაშ. 3 ს. 17 წ.

**ტფილისში მოდის.**

**ბაქოდან.** ნარევ. № 107, ღამ. 3 ს. 8 წ. სახ. № 5, ნაშ. 3 ს. 46 წ. საფ. № 3, დილ. 9 ს. ჩქარ. № 1, საღ. 9 ს. 10 წ. სახ.-საბ. № 7, დილ 11 ს. 55 წ.

**ბათომიდან:** სახ. № 12, დილ. 8 ს. 50 წ. საფ. № 4, ღამ. 11 ს. 32 წ. სახ. № 6, საღ. 5 ს. 56 წ. ნარევ. № 106, დილ. 5 ს. 15 წ.

**ერევნიდან:** სახ.-საბ. № 83;7, საღ. 5 ს. 28 წ

**ყარსიდან:** სახ.-საბ № 65, ნაშ. 1 ს. 28 წ.

**ჯულფიდან:** სახ. № 43, დილ. 8 ს.

**ბორჯომიდან:** სახალ. № 9|10 6, დილ. 11 ს. 22 წ.

**მიხაილოვიდან სურამში** სახ.-საბარგ. № 61, ღამ. 2 ს. 18 წ. სახ.-საბ № 63, დილ. 5 ს. 30 წ. სახ.-საბ. № 65, ნაშ. 12 ს. 48 წ. სახ.-საბ. № 67, ნაშ. 3 ს. 13 წ. სახ.-საბ № 69, საღ. 7 ს. 53 წ. სახ.-საბ № 71, საღ. 9 ს. 20 წ.

**სურამ.-დან მიხაილოვში:** სახ.-საბარ № 60, ღამ. 1 ს. 22 წ. სახ.-საბ. № 62, დილ. 4 ს. 38 წ. სახ.-საბ. № 64, დილ. 7 ს. 8 წ. სახ.-საბ. № 66, ნაშ. 1 ს. 15 წ. სახ.-საბ. № 68, საღ. 6 ს. 38 წ. სახ.-საბ. № 70, საღ. 8 ს. 26 წ.

**ქუთაისიდან რიონში:** სახ. № 77 დილ. 5 ს. 28 წ. სახ № 79, დილ. 10 ს. 14 წ. საბ. 1, ნაშ. 2 ს. 3 წ. სახ. № 83, ნაშ. 5 ს. 84 წ. სახ. № 85, ღამ. 11 ს. 58 წ.

**რიონიდან ქუთაისს:** სახ. № 76, დილ. 6 ს. 25 წ. სახ № 78, დილ. 11 ს. 2 წ. სახალ. № 80, ნაშ 3 ს. 8 წ. სახ, 82, საღ. 6 ს. 55 წ. სახ № 84, ღამ. 1 ს. 58 წ.

**ქუთაისიდან შორაპანს:** სახალხო № 29/30 ნაშ. 5 ს. 23 წ.

**შორაპნიდან ქუთაისს:** სახ № 27|28, დილ. 8 ს. 30 წ.

**ფოთიდან სამტრედ. და ქუთაისს:** სახ. № 26, დილ. 6 ს. 6 წ. სახ. № 4 п, დილ. 11 ს. 9 წ. სახ. № 6, საღ. 5 ს. 1 წ. სახ № 8 п ღამ. 9 ს. 10 წ.

**სამტრედიიდან ფოთში;** სახ. № 3 п შუადღ. 1 ს. 5 წ. სახ. № 7 п. საღ 7 ს. 24 წ. სახ. № 5 п. საღ. 7 ს. 59 წ. სახ. № 25 г ნაშ. ს. 18 წ.

**ბათომ.-დან ქობულეთსა და ნატანებში:** სახ. № 18, ღამ. 11 ს. 13 ს. სახ. № 14, დილ. 5 ს. 43 წ. საფ. № 16, ნაშ. 2 ს. 58 წ.

**ქობულეთ.-დან ბათომს:** სახ. № 13, დილ. 7 ს. 4 წ. სახ. № 15, ღამ. 12 ს. 23 წ. სახალხ. № 17, ნაშ. 5 ს. 47 წ.

**ნატანებიდან ბათომს:** სახ № 17, ნაშუად. 5 ს. 20 წ.

**ბათუმიდან ქობულეთში.** სახ. № 18, ღამ. 11 ს. 13 წ. სახ. № 14, დილ. 5 ს. 43 წ. სახ. № 16, ნაშ. 2 ს. 58 წ.

**ბათომიდან ნატანებს:** სახ. № 16, ნაშუადღ. 4 ს. 24 წ.

**მიხაილოვ.-დან ბორჯომს.** სახ. № 46, ნაშ. 3 ს. 8 წ. სახ. № 65, საღ. 9 ს. 14 წ. სახ. № 86, დილ. 5 ს. 25 წ.

**ბორჯომ.-დან მიხაილოვში** სახ. № 36, ნაშ. 12 ს. 35 წ. სახ. № 55, დილ. 5 ს. 58 წ. სახ. № 76, ღამ. 12 ს. 41 წ.

**პირდაპირი მიმოსვლა გადაუჯდომლად.**

1) **ბათომიდან პეტერბურგამდე** გაივლის ნიკიტოვკას, კურსკს, მოსკოვს, არის ერთი მიქსტო-ვაგონი I—II კლასისა და 1—მესამე კლასის, მატარებლების №№ 1/11 და 2/12. ყველა ბილეთები პლაცკარტებით.

2) **ბათომიდან მოსკოვამდე.** გაივლის კოზლოვს და რიაზანს; 1 ვაგონი პირვ. კლასისა, 1 მეორისა და 3—მესამისა, მატარებლები №№ 5 და 6. I და II კლასი და მესამე კლასის ერთ ვაგონში ბილეთები პლაცკარტითაა, ხოლო მესამე კლასის ორ ვაგონში უპლაცკარტოდ.

3) **ტფილისიდან როსტოვამდე** ერთი ვაგონი I/II კლასისა, ერთიც მესამე კლასისა, მატარებელთა ნომრები 1 და 2.

4) **ტფილისიდან ჯულფა-ერევნისკენ** ერთი ვაგონი I კლ. და ერთიც მე-III კლ. მატარებლის ნომრები და 3 4.


# განცხადებანი



## სიროლინ „როშ"

უებარი წამალია, სიყაზბისა, ყივანა-ხველისა, გულის შეხუთვისა ინფლუენციის შემდეგ სიროლინ „როში" სპობს დაწყებულ ფილტვების ანთებას. სასიამოვნო გემოსია, მადის მომყვანი გავლენა აქვს დ. ხანგრძლივ წამლობას აადვილებს სიროლინ „როში".

იშოვება უოველ აფთიაქსა და საავთიაქო მაღაზიაში.

მოიკითხეთ უექველად სიროლინ „რო[შ]" ქარხნის თავისე[ბური] გასახვევით.

66865 1008

**ექიმი ა. ნ.** [illegible]

## აუქციონი

ქალაქის სააუქციონო კამერა აცხადებს, რომ შვიდს, თერთმეტს და ცამეტს მარტს გაყიდულ იქნება საჯარო ვაჭრობით ძველი საქმეები და წიგნები დილის თერთმეტ საათიდან ბროსსეს ქუჩაზე სახლი № 2. 127.

**გონორრეის (სუსუნატის) წინააღმდეგ უახლესი საშუალება:**

**„SALO—პიჩილინ".**

სწრაფად და არსებითად მოქმედებს და, ექიმთა აზრით, გონივრულ საშუალებად ითვლება. დარიგება კოლოფში ძევს. ნამდვილი მხოლოდ ლითონის კოლოფებით და ღირს 1 მ. და 1 მ. 80 კ. **აგრეთვე კარგად მოქმედებს მეტად გართულებულ და დაძველებულ ავადმყოფობის დროს და სულ მოკლე ხანში სპობს უწყვეტელ მდინარეობას.**

დეპო: Петербургъ, разъѣжая, № 7 аптека Б. Конгейма. იგზავნება ფასდადებით. გასაგზავნი ფოსტის ტარიფის მიხედვით. იშოვება საავთიაქო საქონლის კავკასიის საზოგადოების საწყობში.

Метцль 2 238. 1038

## შემთხვევით იყიდება

**ა. ბოგდანოვის**

**მოკლე კურსი ეკონომიურ მეცნიერებისა**

ავტორის სურათითა და წინასიტყვაობით 1 მანეთად.

ტფილისს გარედ მცხოვრებთ გეგზავნებათ 1 მან. 10 კ. წიგნი მოიკითხეთ: სადაც იყიდება ყველანაირი ქაღალდი სეფაბრიკო ფასებში.

Тифлисъ, складъ бумагъ Т во Сергѣева, Дворцовая ул., д. Сараджево дворѣ. 109

გამოსულია და იყიდება

**ნ. შიუკაშვილის** პიესა **„მეგობრობა"**, დრამა 4 მოქმედებ. ფასი 30 კაპ.

**გამოსულია და იყიდება**

**ი. გედევანიშვილის** პიესა

**„გ ა მ ც ე მ ი"**

დრამა 3 მოქმედ. ფასი 25 კ.

## მუხრანის კერძო საავადმყოფო

**საწოლი კრაოტებით.**

19 თებერვლის ქუჩა, იგივე რიყე, № 48, ახალ მუხრ. ხიდის პირდაპირ, ტელეფ. № 370.

დასაწოლად ავადმყოფნი მიიღებიან ყოველ დროს, ხოლო გასასინჯად ფეხზე მოსიარულე ავადმყოფნი მიიღებიან დანიშნულ დროზე შემდეგ

| | ექიმების მიერ: | დილით: |
|---|---|---|
| [illegible] | სპექტიორი გ. მ. | $8^1/_2$—$9^1/_2$ ს. |
| | იაშვილი ა. ლ. | 11—12 ს. |
| | ლოლობერიძე გ. მ. | $12^1/_2$—$1^1/_2$ ს. |
| [illegible] | გრიგორიანი ა. ი. | 11—12 ს. |
| | მელკონიანი გ. ა. | 12—1 ს. |
| | ჯაში ი. ი. | $9^1/_2$—$10^1/_2$ ს. |
| [illegible] | გრიგორიანი ა. ი. | 11—12 ს. |
| [illegible] | მიკირტუმოვი | 10 11 ს. |
| | ექიმი-ქალი ტერ-დავიდოვისა | 11—12 ს. |
| | ლოლობერიძე | $12^1/_2$—$1^1/_2$ ს. |
| [illegible] | შაპელნიკოვი გ. ი. | $1^1/_2$—$2^1/_2$ ს. |

ფასი გასინჯვისა 50 კ. საწოლი კრაოტი 3 მან. დღეში, ცალკე ოთახი 5 მან. ოპერაციები მორიგებით. **შეშხაპუნება წამლებისა „606" და „914"**, ყვავილის აცრა, ელექტრონით წამლობა, ძიძის გასინჯვა, დაზელა (მასაჟი), მოწმობის შედგენა და სხვა, შეღავათიანი საფასურით. 1581

## თესლეულობა

საუკეთესო ხარისხისა, ნაცადია, არაოდეს არ მოსცდება, ხახვის ღივი, ხენდრო, მცენარეთა ნერგები, ადრეული კარტოფილი. ფასები სინდისიერია.

**ს. მ. კოველის თესლეულობის დეპო.** ტფილისი, მიხეილის ქუჩა, № 27. 1087.

## ექიმ ნავასარდიანის პირველი კერძო საავადმყოფო

დაარსებულია 1880 წელს. (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

**ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა.**

**დილით:**

**„606" და „914"**

**11—12 ს. შეშხაპუნება კონსულტატიურად.**

ნ. ა. **ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, და ვენერიული (სიფილ.) ავად.

ბ. გ. **ბეგასარაევი:** 1—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.

ქ. მ. **ჩიქოვანი:** $9^1/_2$—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. **ბაბანასოვი:** 10—11 ს. საშვებიო-ქალებისა და ბავშვებისა.

ნ. ტ. **მუღდისი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

ნ. გ. **ბეკტაბეკიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

ა. ბ. **კარაპეტიანცი:** 12—1 ს. შინაგანი საშვებო და ყვავილის აცრა.

ექიმი ქალი **ო. გ. ტერ-დავიდოვისა** 1—2 ს. სიშვებით და ქალების ავადმ.

**საღამოთი:**

მ. გ. **ბეკტაბეკიანცი:** 6—7 საათ.

**ექიმი ქალი გ. ლ. რენიგერ-არეშევისა** 6—7 ს.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

საავადმყოფოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ნ. ა. ნ ავასარდიანი. 1004

## ცინკოგრაფია

ქართველთა გამომცემელ ამხანაგობისა ასრულებს ყოველგვარ

**კლიშეების დამზადებას.**

საქმეს ასრულებს დროზე სუფთად და ხელმისაწვდენ ფასად.

ტფილისი, ვანქის დიდი ქუჩა, № 12. თ.—1090

მიიღეთ საუკეთესო გემოს მარცვლოვანი,

ქვირითის (კეტოვ.) ხიზილალა

თევზის მრეწველნი

**ძმ. ძეგველოვები.**

პუშკინის ქ., საკუთარი ს. № 9. ტელეფონი № 712.

1131

გამოსული ქერჩის სელიოტკები, და ყოველგვარი კონსერვები.

მოგვდის მუდამ დღე საკუთარი მრეწველოდან ახალი თევზი, ხიზილალა, (ქიტკა), ორაგული, თარო ტარაღანა, ლოქო და სხვა. და აგრეთვე ყოველ დროს იყიდება მაღაზიაში **მთავარ შული დაში, ზურგიელ** და ყოველგვარი

**შავი ხიზილალა**


ტფილისი მუხრანის ქუჩა, სტამბა „შრომა".